სოლომონ მეფე
და
როსტომ ერისთავი
ისტორიული ნარკვევი
ფედერაცია
1936

სოლომონ მეფე
და
როსტომ ერისთავი

ისტორიული ნარკვევი

ფედერაციე
1936

დასაბეჭდად მოამზადა კ. „ფავორიტი"
გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი-1990

ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ

სოლომონ მეფე

და როსტომ

ერისთავი

ფედერაცია 1936

ისტორიული ნარკვევი

დასაბეჭდად მოამზადა კ. „ფავორიტი"

გამომცემლობა „მეცნიერება"

თბილისი–1990

ამ პატარა ქრონიკის დაწერა სათაკილო არ იქნებოდა არცერთი გამოჩენილი მწერლისათვის, ნამდვილად კი ის იკუთვნის ვინმე სიკო კანდელაკს, რომელიც სხვაფერიე სრულიად უცნობია ჩვენს ლიტერატურაში.

აკაკი წერეთლის „კრებულში", სადაც ეს ამბავი პირველად დაიბეჭდა (1898 წ., № 9), მას რედაქციისაგან წამძღვარებული აქვს ორიოდე სტრიქონი, საიდანაც სჩანს, რომ ავტორისათვის იგი გადაუცია შისვე პაპას, სიდამონ პირველისა და როსტომ ერისთავის თანამედროვეს. შეიძლება ეს. შთხრობელი სწორედ ის სეიმონ კანდელაკი იყოს, რომელსაც, როგორც ამბავის შინაარსიდან სჩანს, თავის სახლში გადაუყვანია თვალებდათხრილი მე-

თოდე ერისთავი. ხოლო შემდეგ, როცა ერეკლე მეორეს ეს უკანასკნელი ქართლში მიუწვევია, თან გაჰყოლია მას. შეიძლება ის რაპის ერისთვების ყმა ყოფილიყოს.

ეს ამბავი უფრო მხატვრული ნაწარმოებია, რომელიც საუცხოოდ გადმოსცემს მეთვრამეტე საუკუნის ქართული ფეოდალური საზოგადოების სახეს, ვიდრე მშრალი ისტორიული ქრონიკა; ამიტომ უმართებულო იქნებოდა შიგ ისტორიული ფაქტების თანმიმდევრად გადმოცემა და მეცნიერულად სწორი ახსნა გვეძებნა. თვით სოლომონ მეფის და თურქეთის კონფლიქტის მიზეზი მეტისმეტად გულუბრყვილოდაა ახსნილი. თავისთავად ცხადია, რომ იმერეთის მეფე ხვანთქარს იმიტომ კი არ გადაუდგა, რომ ვითომ ვილაც თურქ ჯარისკაცს ალდგომა დილას მეფისთვის გამზადებული ცხვრის ბეჭი შეეჭამოს, არამედ იმიტომ, რომ რუსეთმა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში აქტიური პოლიტიკის წარმოება დაიწყო კავკასიაში, და სოლომონ პირველს და სხვა ქართველ მფლობელებს იმედი მიეცათ მუსულმანური სახელმწიფოების ვასალობისა-

გან განთავისუფლებითო. ამასგარდა სოლომონ მეფეს თურქეთთან ერთადერთი ომი კი არ ჰქონია და ხრესილის ბრძოლას უწინალოდ ქუთაისის აღება და თურქების იმერეთიდან გარეკა კი არ მოჰყოლია, როგორც შეიძლება ამ ამბავის მკითხველმა წარმოიდგინოს: მართალია, სოლომონ პირველმა მეგრელებისა და სამურზაყანოელების დახმარებით 1757 წელს ოკრიბაში ხრესილის ველზე დაამარცხა ახალციხის ფაშა, რომელსაც როსტომ ერისთავი და ლევან აბაშიძე მიემხრენ, მაგრამ მეორე წელს ის ვერ გაუმკლავდა შეერთებულ თურქლეკის ჯარს და იძულებული გახდა ხელახლა თურქეთის სუვერენიტეტი ეცნო.

ბრძოლა თურქეთსა და სოლომონ პირველს შორის შემდეგაც გრძელდებოდა, და ბედმა იმერეთის მეფეს რამდენჯერმე კიდევ გაუღიმა, მაგრამ მან საბოლოოდ მაინც ვერ შესძლო, ვერც ტყვეების ვაჭრობის აღკვეთა და ვერც იმერეთის ციხეების განთავისუფლება თურქი მეციხოვნე ჯარებისაგან, სანამ რუსეთ-თურქეთის ომი არ დაიწყო და თვით დასავლეთ სა-

ქართველოში რუსის ჯარი არ შეეიდა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით.

მაგრამ ავტორს, რასაკვირველია, პრეტენზია არ ჰქონია სოლომონ პირველის ისტორია დაეწერა. მისი ინტერესი შეზღუდული ყოფილა, მას გადმოუცია მხოლოდ ის, რასაც მასზე განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია იმერეთის მეფისა და რაჭის ერისთავის ტრაგიკულ კონფლიქტში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ეს პატარა ნაწარმოები უბადლოა: იგი იძლევა ფეოდალური საქართველოს ყოფაცხოვრების, მისი საბოლოო პოლიტიკური და ზნეობრივი დაშლის და გადაგვარების მხატვრულ სურათს, შეუდარებელს თავისი სიცხოველით და შინაგანი დამაჯერებელი ძალით. ორიოდე ხაზის მოსმით ჩვენ თვალწინ დგებიან მეთვრამეტე საუკუნის მომქმედი პირები, რომელნიც თითქმის სრულიად მოკლებულნი იყვნენ ზნეობრივ გრძნობას, ვერაგნი და დაუნდობელნი იყვნენ, როცა საქმე მათ პირად ბედნიერებასა და ძალაუფლებას ეხებოდა, და თავიანთ პოლიტიკური მიზნების

მიღწევაში არაეითარი საშუალების გამოყენებას არ ერიდებოდენ.

რით აიხსნება ქართული ფეოდალური საზოგადოების ასეთი საშინელი გახრწნა და დაქვეითება? რასაკვირველია, არა თანდაყოლილი ეროვნული თვისებებით, არა იმით, რომ ქართველი რასა ბუნებით ვერაგი, უზნეო და გარყვნილი ყოფილიყოს, როგორც ამას გულუბრყვილოდ ზოგიერთი ქართველი მემატიანე ან უცხოელი მოგზაური ფიქრობს. ჯერ კიდევ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში ქართველმა ერმა უაღრესი ადამიანური კულტურის დონეს მიაღწია, რომლის მიღწევაც საზოგადოდ შესაძლებელი იყო ფეოდალიზმის ფარგლებში: თავისი მისწრაფებით ჰუმანისტური იდეალებისადმი, თავისი სიყვარულით ფილოსოფიისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისადმი იგი, სხვა წინააზიელ ერებთან ერთად, იმდროინდელი კულტუროსანი კაცობრიობის მოწინავე რიგებში ჩადგა. ერი პოლიტიკურად გაერთიანდა, სამოქალაქო ცხოვრება მოწესრიგდა, ბალხის ზნეობა გაფაქიზდა, სისხლის დანაშაული შემცირდა. მაგრამ წინა აზიის კულ-

ტურის კატასტროფამ მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეში, ჯერ ჩინგისყაენის და შემდეგ თემურლენგის ურდოების შემოსევამ რამდენიმე საუკუნით შესწყვიტა ჩვენი ქვეყნის კულტურის ორგანული განვითარება, ხოლო შემდეგ ბიზანტიის დამხობამ და თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ მეთხუთმეტე საუკუნეში გზა გადაგვიჭრა დასავლეთ ევროპისაკენ, საითკენაც რენესანსის ეპოქაში ეკონომიური და კულტურული განვითარების ცენტრმა გადაინაცვლა.

საქართველოს საწარმოო ძალები განიავდა, ეკონომიურსა და პოლიტიკურ სფეროში ქაოსი დამკვიდრდა, ახალი კულტურის მატარებელი კლასი, ეროვნული ბურჟუაზია, რომლის ჩანასახს მეთორმეტე საუკუნეში ვხედავთ, უდროოდ ჩაკვდა. ამას მოჰყვა სოციალური ინსტინქტების დაჩლუნგება და მოსპობა, საღი ეროვნული გრძნობის შესუსტება, ზნეობის დამახინჯება და გადაგვარება. მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში ფეოდალური საქართველო ეკონომიურადაცა და მორალურადაც თითქმის კულტურის უკანასკნელ საფეხურზე იდგა, და,

სხვათაშორის, დამახასიათებელი ფაქტია, რომ მას უცხოეთის ბაზარზე გასატანი თითქმის ალარაფერი გააჩნდა გარდა ლამაზი და ჯანსაღი ქალ-ვაჟებისა; ხოლო რადგან მთავარი მწარმოებელი ძალა ერისათვის ბოლოს თვით ჯანსაღი ადამიანია, გასაკვირვალი არაა, რომ ამ საბედისწერო აღებმიცემობამ დაამთავრა ფეოდალური საქართველოს ფიზიკური და ზნეობრივი გაბრწნა. ამიტომ, როცა მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზღვრებს ძლიერი იმპერიალისტური მისწრაფებით გაბსჭვალული რუმანოვების რუსეთი ზოადგა, ილაჯგამოლეულ ქართულ ფეოდალიზმს არც მატერიალური და არც მორალური ძალები ალარ გააჩნდა თავის დასაცავად, ის ადვილად კლანჭებში ჩასაგდებ ნადავლს წარმოადგენდა ორთავიანი არწივისათვის.

გეროლტი ძიკოძე





1

სოლომონ პირველი იყო ალექსანდრე მეფის ძე.

სამეფო ტახტი თუმცა უფროს ძმას იოსებს ეკუთვნოდა, მაგრამ ვინაიდან ორი ხედავდა, რომ მისი უმცროსი ძმა სოლომონ უფრო სამეფო კაცი იყო, როგორც თვალ-ტანადობით, აგრეთვე ძლიერებით და სიმარჯვით, მეფობა მას დაუთმო და თვითონ ბერად შედგა.

სოლომონი რომ საბეფო ტახტზე ავიდა, სულ თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა.

იმ დროს ოსმალეთის * ჯარები იდგა იმერეთში და ციხე-სიმაგრეებიც იქათ ეპირათ: პირველი ფაშა, მაშედ-ალი კაკიანი, ქუთაისის ციხეში იდგა დიდძალი ჯარით და მბრძანებელიც იყო დანარჩენი ფაშებისა; მეორე ფაშა, უსეინ იდგა ბაღდადის ციხეში; მესამე ფაშა ახმედი—შორაპნის ციხეში; მეოთხე ფაშა, ალიბეგი—ხრესილზე. თუმცა ამათ გამგეობაში არ იყო იმერეთის სამეფო, მაგრამ ბეგარის კი ახდევინებდენ მეფეს, რამდენიმე ათას ყურუშს.

---

* ზინათ, ახლანდელ თურქეთს ოსმალეთს უწოდებენ, ხოლო ახლანდელ თურქებს—ოსმალოებს, ან კიდ ე თაურებს.

ამ დროს იმერეთის სამეფოში, სხვათა-შორის, ორი თავადი ცხოვრობდა: ერთი რაჭაში, როსტომ ერისთავი, ხოლო მეორე არგვეთში, თვით მეფის ბიძაშვილი (დედის ძმა) ლევან აბაშიძე. ამათ წარმოიყვანეს თათრები ალექსანდრეს მეფობის დროს, გაუღეს ციხის კარები, დაასუსტეს ალექსანდრე მეფის ძლიერება და მათი შემწეობით გავლენა მოიხვეჭეს.

ახლაც, სოლომონის გამეფების შემდეგ, დაუახლოვდენ კიკიან ფაშას ძვირფასი საჩუქრების მირთმევით და ურჩევდენ, რომ ბაგრატიონის გვარი სრულიად მოესპო და მათთვის ძიეცა მეფობა; ასე რომ, ორ სამეფოდ გაეყო იმერეთი: ნახევარი ერისთვის მიეცა და ნახევარი მეორესთვის. საბაგიროდ ჰირდებოდენ იმერეთში მაჰმადიანობის შემოღებას: უნდა აეშენებინათ მეჩეთები ქუთაისსა, ბაღდადსა, შორაპანა-

ში, ხრესილზე, საჩინოს, ორპირს, კულაშს, ხონს, რაჭაში, ნიკორ-წმინდის ტაძრის გვერდით, ონსა და ამბროლაურში.

კიკიანი ფაშა მოხარული იყო, მაგრამ თავისთავად ცოტა ჯარით შებმას ვერ ბედავდა, რადგანაც, როგორც თვით მეფე სოლომონს, ისე მის ძმას არჩილს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ დავარდნილი. მეფე სოლომონს თვალს უჭრიდა და ხალხი დარწმუნებული იყო, რომ ოთხი თვალი აქვსო. მართლადაც, პირდაპირ მისი შეხედვა და თვალის გამართვა, როგორც ზაფხულში მოწმენდილ ჰაერში მზისთვის თვალის გამართვა, შეუძლებელი იყო. მის ძმა არჩილზე კი ამას ამბობდენ: მისმა მადლმა, წმინდა გიორგის სასწაულს გარდა, სიმარჯვით ვერავინ აჯობებსო.

არჩილი იყო მეტად ახოვანი, ხმელი, მაგრამ ძვალმსხვილი ვაჟკაცი. იმისი ხმლის ხმარება სამაგალითო და საარაკო იყო.

ცოლად მას ქართლ-კახეთის მეფის ირაკლის ქალი ჰყავდა. აი მიზეზი, თუ რატომ ვერ ბედავდა კიკიანი ფაშა ციხეებიდან გამოსვლას და მეფესთან ბრძოლას, სანამ ხონთქარს არ აცნობა ყველაფერი და არ სთხოვა ჯარების მომატება. ხონთქარმა აღუთქვა და ამას შემდეგ კიდევ უფრო გათამამდენ როგორც ფაშები, ისე მათი ჯარისკაცები და აღარაფრად აგდებდენ მეფეს.

ერთხელ, აღდგომა დილას თათრის ერთი ჯარისკაცი შევიდა თურმე მეფის სამზარეულოში, მეფისათვის მომზადებულ საუზმო ცხვარს ააგლიჯა ბეკი, იქვე შეჯამა და წავიდა არხეინად. სასახლის გამგემ სხვა ცხვრის კეთება დააწყებინა და სახლთუხუცესს პაპუნა წერეთელს აცნობა ეს გარემოება;

წერეთელი შეწუხდა, მაგრამ რას იზამდა: მოხსენება ვერ გაუბედა მეფეს. შეაჩერა

მხოლოდ მეფესთან მისალოკავად მიმავალი, კათოლიკოსი და დიდებული კარისკაცები, რომ დრო გაგრძელებულიყო და მანამდის მოესწროთ სხვა ცხვრის გაკეთება. მეფეს რომ საუზმე დაუგვიანდა, ვეზირს — თამაზა მესხს — უბრძანა:

— სად არიან ჩემი დარბაისლები, ან ქათალიკოსი რატომ არ მობრძანდა, რომ სუფრა მიკურთხოს ან და პატუნა წერეთელი საუზმეს რად მიგვიანებს, რომ გავიხსნილოთო?

თამაზამ გამოტეხით მოახსენა ყველაფერი.

მეფე ისარნაკრავივით წამოვარდა ზეზე და დაიძახა:

— ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, ნულარც გამთენებია ოღდგომა, თუ ოსმალოები იმერეთიდან არ გავრეკო.

მოითხოვა ცხენი, შეაჯდა და ვარციხისაკენ გაეშურა.

— მე აქ — ქუთაისში დასადგომი პირი ალარ მაქვსო.

დიდებულები ზოგი თან წაყვა და ზოგი გზაში დაეწია, მისელის უმალვე სარდლები დაიბარა: ციხისთავი ქაიხოსრო აგიაშვილი, ბერი წულუკიძე და გიორგი აბაშიძე. მეოთხე სარდალი პაპუნა წერეთელი კი თანვე ახლდა. იმ პაპუნას სამი თანამდებობა ეჭირა: იგი იყო სახლთუხუცესი, ეუროსი ვეზირი და იმავე დროს ცხენოსნის სარდალი.

სარდლები ალდგომის მეორე დღესვე გამოცხადდენ.

მეფემ უბრძანა ციხისთავს სარდალ აგიაშვილს ბაღდადის ციხეზე მიდგომა; მიფის ძმას არჩილს და გიორგი აბაშიძეს შორაპნის ციხეზე უნდა მიეტანათ იერიში; ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი ხრესილისაკენ უნდა წასულიყვნენ; თითონაც იქ გაემგზავრა, რაკგანაც თათრის ჯარი იქ მეტი ეგულებოდა და. ომიც გაშლილ ალაგს უნდა მომხდარიყო.

ქუთაისის ციხის აღება მეფემ ფიცის კაცებს უბრძანა და მათს ბელადს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„თავადს ბერ ლიარიქოფანიძეს მეფე სოლომონ სიყვარულით მოგიკითხავ.

„ამასთანავე გიბრძანებ, რომ მილებისთანავე ამა წერილისა შეკრიბო ფიცისკაცნი —თავადნი და აზნაურნი თავიანთი ყმებით და ისინიც, რომელნიც ან ჩემი სახასო ყმები არიან და ან ეკლესიისა; ვისაც იარაღის ხმარება შეეძლოს, თავადაზნაურობისაგან სუყველა, ხოლო გლეხებისაგან კომლზე თითო გამოაწვიე. შემოკაპრით ქუთაისის ციხე, დაამწყვდიეთ შიგ ოსმალეთის ჯარი, არავინ გამოუშვათ. ვინც გამოვიდეს და ქრისტიანობის მილება განაცხადოს, ის დაინდეთ და შემდეგ ჩემთან მოიყვანეთ.

მეფე იმერთა სოლომონ“.

ამგვარიეე ბრძანება გაუგზავნა მიქელაძეს.

„თავადს ზურაბ მიქელაძეს სიყვარულით მოგიკითხავ და გიბრძანებ: ახლავე შეკრიბე ჯარი, გამოაწყვე ყველა თავად-აზნაურნი და გლეხნი, საჩინოს სოფლიდან მთელი მთის მცხოვრებნი, ვიდრე გურრის სიზღვრამდე; ვაკიდან -- ორპირი, კულაში, ჯაგანი, გეზათი, მოედანი, ჯიხაიში ორივე სოფელი, გუბი და ეწერი.

„კომლზე თითო გლეხი გაიყვანე, ხოლო თავად-აზნაურს, რომელსაც ცარალის ხმარება შეეძლოს, რამდენიც იყოს ოჯახში, ნუ დასტოვებ.

„შეჰკარი ფოთის გზა, სადაც იგი გურრის გზას უერთდება, ესე ივი ეკალ-მუხურში დაბინავდი.

„ოსმალოს ჯარი არც აქეთ მომავალი და არც იქით მიმავალი არ გაუშვათ, სრულებით გასწყვიტეთ.

მეფე იმერეთისა ხოლომონ".

ამ ბრძანების მიღებისთანავე ზღვრამ მიქელაძე მოვიდა ოლიბირის ქალაქს და გაგზავნა მორბიელნი ჯარებით ვაშლოს წყლისკენ.

ამ დროს მოვიდნენ ახალგაზრდა მიქელაძეები, რომელნიც ბაღლიანეს მაყრად ყოფილიყვნენ ქორწილში და გზაში შეჰყრიოდენ თათრებს, იმერეთიდან ტყვეები რომ მიეყვანათ საათაბაგოში, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გაეწიათ მეფის ბრძანებით, ახლა კი, რიდესაც გაიგეს მეფის ბრძანება, გამოუდგენ, მიეწივნენ ალითთან, თათრები გასწყვიტეს და ტყვეები გამოიხსნეს.

ეს გარემოება როსტომ ერისთავმა და ლევან აბაშიძემ საჩქაროდ აცნობეს კიკიან ფაშას. მან ცნობისთანავე გზის შეკვრამდის შიკრიკი გაგზავნა ფოთში და ჯარები დაიბარა, მაგრამ მათ ეკალ-მუხურში მიქელაძეები დახვდენ. შეიქნა ფიცხელი

ომი, თათრები დაამარცხეს და რიონში გადაყარეს...

ფიცისკაცებმა ქუთაისის ციხეს ალყა შემოარტყეს.

2

მეფის სურვილი იყო, თათრებთან ომი ყოველ ადგილს ერთსადაიმავე დღეს, რაც შეიძლება სწრაფად დაწყებულიყო; მაგრამ პაპუნა წერეთელმა დაუშალა და ურჩია როსტომ ერისთავთან წასვლა და იმასთან მოლაპარაკება.

ამ რჩევაზე დასთანხმდა მეფე და მოუ-ლოდნელად მივიდა ბარაკონს ერისთა-ვისას.

როსტომ იმ დროს საღალატოდ ეზადე-ბოდა: უნდოდა, რომ ლევან აბაშიძესთან ერთად თათრებს მიმხრობოდა და, რასაკვირველია, მეფის მისვლა მას სასიამოვ-ნოდ არ ეჩვენა.

იმ ღამეს სასტუმრო დარბაზში მიიღო, თვითონ არ ნახა მეფე, ბოდიში მოითხოვა, ავად ვარო. ვახშამი დიახ საკადრისი მოუმზადა: სხვათა შორის, ირემიც დაუკლა და ჭამის გათავებამდის, როგორც მეფის სადღეგრძელოზე, აგრეთვე ისეც, დროგაძოშვებით ზარბაზანს ისროდენ ციხიდან.

ორივე კარზე ოსმალური წესით ორმოცორმოცი ხელოხიანი კაცი იდგა უიარაღოდ, ხოლო ჭამის გათავების შემდეგ შეიარაღებული მცველები დაუყენეს გათენებამდის.

დილას, მეფის პირის დაბანის შემდეგ, როსტომ გავიდა მეფის სანახავად, მაგრამ განზრახ მოურიდებლად და თავხედად: ახალუბზე ტოლოომო წამოსხმული, წითელი ჯაჭვასის ნიფხვით და ქოშებით.

მეფემ ეს არაფრად მეინაჩნია:

„როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო“, სთქვა თავის გუნებაში და ჩვეულებ-

რივი მოკითხვის შემდეგ საქმეზე დაუწყო ლაპარაკი.

სთხოვა, რომ თავისი რაზეველებით ხრესილზე მოსულიყო და მოხმარებოდა.

ერისთავი დიდი მორჩილებით დაეთანხმა, აღუთქვა ოთხი ათასი კაცის გამოწვევა. გაგზავნა ყოველ მხრით თავისი შვილები ჯარის გამოსაწვევად რაჭაში და ოსეთში (ყუდაროს), და მეფეს სთხოვა მასთან დარჩენა, სანამდის ჯარი სულ არ შეგროვდებოდა.

გამოწვეული ჯარები წვრილ-წვრილად იკრიბებოდენ ბარიკონში ერისთავის დიდ ეზოში. ერისთავს მეფე დიდ მექეფეში ჰყავდა: დილაობით ყოველ დღე ყაბახზე სრულა იმართებოდა, საღამოობით ჯირითი, ხოლო საღილ-ვახშამზე ზარბაზნებს სცლიდენ. მეფე გაკვირვებული იყო ამ კაცის ცხოვრებით და პაპუნა წერეთელს უთხრა:

— მადლობა ღმერთს, გურიელსა და დადიანს გარდა კიდევ მყოლია დიდებული ქვეშევრდომები.

ამ ყოფაში იყვნენ, რომ მესამე ღღეს ორმა კაცმა ცხენი მოიყვანა; მივიდნენ ისინი პირდაპირ ერისთავთან და აცნობეს:

— ნაკერალის ყოთახზე თაბორის ჯარი ამოვიდა და შაორის მინდორზე დაბინავდაო; როგორც გვიგია, ხრესილზე ბდგომი ჯარის ნახევარი აქეთ წამოსულაო.

მეფემ ლაპარაკს მოჰკრა ყური და ერისთავს ჰკითხა:

— რა აბჩავი არისო?

ერისთავმა შოძსსენა:

— რაჭაში მტერი შემოვესვენია და ითხოვებს მიპირებს, ბატონო, მადლობა უფალს, რომ მეც მიმზადებული ვარ, იმის რაჭაში არ შემოვუშვებ, ნაკერალიაზე გადავეკრი და მერე თქვენ მოგეშველებითო; ახლა კი წაბრძანდით, დროს ნუღარ ჰკარგავთო.

მეფემ მადლობა უთხრა და დაიმედებული გამობრუნდა.

თათრების ჯარების შესვლა რიჟაში თურმე გამოგონილი იყო ერისთაისაგან. ამით მან მეფე მოატყუა და დროც დააკარგვია, რომ ხრესილზე მდგომი თათრებისათვის მეფის განზრახვა ეცნობებია.

რიჟიდან გამობრუნებულ მეფეს სიმონეთში სარდალი ბერი წულუკიძე დაუხვდა დიდი ჯარით, მეფემ ჯარი დალოცა და გასამხნევებელი სიტყვები უთხრა:

— ჩემო იმერლებო! მტრები ბევრით ჩვენზე მეტია, მაგრამ ნუ შეშინდებით, დღეს მარტო ჩვენ არა ვართ მეომარნი, არამედ ჩვენთანა არს ძალი ჯიესო მაცხოვრისა. დღეს ეპირვება ქრისტიანობას გამოხსნა. შესწირეთ თავი თქვენს ქრისტეს სარწმუნოებას, გამხნევდით! მეც თქვენთან ვიქნები, არც პირში და არც ლხინში არ მიგატოვებთ და ღმერთი იქნება ჩვენი შემწე!

ეს რომ სთქვა, ჯარის დაწყობაც ბრძანა. გამოვიდა ცხენოსანი ჯარის სარდალი პაპუნა წერეთელი და დააწყო ცხენოსანი ჯარი. გამოვიდა ბერი წულუკიძე—სარდალი ქვეითი ჯარისა—და დააწყო ქვეითი ჯარი. შედგა სულ ქვეითი და ცხენოსანი ჯარი თერთმეტი ათასი.

მეფემ გამოსთხოვა პაპუნას ნახევარი ცხენოსანი ჯარი და უბრძანა:

— თუმცა შენ ხარ ყოველ ომში მემარჯვენე, მაგრამ ხვალ მე უნდა ვიქნეო.

იმ დღეს მტერთან ახლოს მივიდნენ.

მეფეს არ უძინია, ბრძოლის წინათ ბრძანა ღვინის მიტანა, თვისო ამბარფეშა და სთქვა:

— დიდება ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ჩემ ჯარს, საქრისტიანოს გამოხსნისათვის მსხვერპლად გამზადებულს.

ღასცალა და გადასცა პაპუნა წერეთელს. წერეთელმა თაყვანისცემით ჩამოართვა სასმისი, თავსო და დალოცა:

— ღმერთო, უსმინე ბატონ მეფე სოლომონსო.

წერეთელმა ბერ წულუკიძეს გადასცა სასმისი და იმანაც ჯარი შეაეიდრა წმინდა გიორგის.

მოემზადენ საომრად. პირველ მამლისყივილზე მიადგა მტერს ბერი წულუკიძე, საიდანაც მარჯვე ადგილი იყო.

დაჰკრეს საომარი ბუკი და ნაფირი.

მეფემ მარჯვნით შეუტია და პაპუნამ მარცხნით.. შეიქნა დიდი ფიცხელი ომი, გათენებამდე გამარჯვება არც ერთ მხარეს არ რჩება; გათენებისას დაინახეს, რომ მეფე შევარდნილა შიგ შუაგულ ჯარში და ხმალამოღებული ეძებს, უყივის და იწვევს ხმალში ალიფაშას.

ამასობაში ბერი წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა შეარღვიეს საფრები. თითრის ჯარი გაქცევას აპირებს, მაგრამ ლევან აბაშიძე თაეის ჯარით ამბნევებს მას...

მეფემ დაინახა ფაშა, შესჭყივლა თათრულად.

-- ან აიყარე იარალი და ან მარჯვედ დამხვდიო.

ფაშა მეფის დანახვაზე ისე შეშინდა, რომ ხმალი ნახევრამდის ძლივს ამოიღო.

ომის დროს საოცარი რამ სანახავი იყო მეფე. მიაგდო ცხენი და როგორც ქათამს, ისე გააგდებია თავი ფაშას. ბლიფაშის სიკვდილის შემდეგ სარდლობა აბაშიძეს დარჩა და ისევ გაგრძელდა ომი.

ერთი ვილაც იმერელი ჯარისკაცი გავიდა დიდ ხეზე და მოართო ძახილი:

—გაიქცა თათრის ჯარი და ლევან აბაშიძეო...

ამ ტყუილმა ჩვენი ჯარი გამოაფხიზლა, ეს ხმა ლევან აბაშიძესაც მოესმა, შენიშნა, რომ მყვირალი კაცი ხეზე იყო გასული, შემოუარა ხეს და დაეძებდა, საიდან მოეხერხებია სროლა.

ამ დროს ერთი ჯარისკაცი თურმე ჩირგვში იყო. მიმალული, დაუმიზნა თოფი აბაშიძეს და გადმოაგდო ცხენიდან.

გადმოიხედა სეზე გასულმა კაცმა, დაინახა რომ აბაშიძის ოსტატით შემკული ცხენ- უპატრონოდ გარბის, პატრონი კი ძირს აგია მკვდარი; მოუმატა ყვირილს:

— მოჰკლეს აბაშიძე და ალიოშა...

ამ ორი სარდლის სიკვდილმა თათრის ჯარები სრულიად მოშალა. სამარობამდის კიდევ გაგრძელდა ომი, ოღონდ მხოლოდ სწყვეტდენ და იწერდენ თათრის ჯარს, რომელსაც ხელის გამოღების ღონე ალარ ჰქონდა; ნამდვილი ბრძოლა კი დიდი ხანი გათავებული იყო.

მეფეს, ოღონდ წინათვე მოახსენეს აბაშიძის სიკვდილი, მაგრამ ომის დასრულებამდე არ უნახავს. შემდეგ კი მივიდა, გალაობარებინა ნაბადი და იტირა ისეთ, როგორც ეკადრებოდა ნათესავს; არც ერთი

საყვედური არ უთქვამს. შეაკრეფინა ყვავილები და დიდი პატივით გაგზავნა ბის სახლში. შემდეგ მოითხოვა აბაშიძის ბილეთი, მაგრამ ვერავინ გაიგო, სად ან ლაზარეთში არ ბრძანა; ბაშინ კი მოიყვანეს ბესხეთელი გლეხი, ვეგელა თევდორაძე.

— რაგვარ ვაბელე ბიძაჩენის მოკვლაო? — ჰკითხა მეფემ.

— მე ბიძათქვენი კი არა, ქვეყნის ბატონი და ორგული მოვკალითო, — მოახსენა თევდორაძემ.

მეფეს გაეცინა, აზნაურობა უბოძა, სახელი გვარად შეუცვალა: თევდორაძეობა გეგელაშვილად. ამავითანავე ბრძანა ათი კომლი გლეხი და სახნავ-სათესი ადგილები გეგუთში.

გაბარჯაებულმა და გახარებულმა მეფემ იმ ლაშქს ცუცხვათში მოისვენა, ხოლო მეორე დღეს ქუთაისში მივიდა.

3

ქუთაისში ერთი დიდი მილოცვა და სიხარული შეიქნა.

ამ დროს მოვიდა მახარობელი შორაპნის ციხის აღებისა — ქაიხოსრო ჭაჭიაშვილი და ბაღდადის ციხის აღების მახარობელი — კონსტანტინე კოპაძე.

მეფემ ჭაჭიაშვილს უბოძა არგვეთში ჩვიდმეტი მოსახლე გლეხი, ხოლო კოპაძეს წაბლიერ-ასხევას შთის ნახევარი.

ამავე დღეს გამოუცხადა მეფეს ბერი ლორთქიფანიძე, მიულოცა გამარჯვება და მოახსენა:

— აგერ ოცდახუთი დღეა, ციხე შიმოკრული მაქვს და გალავანს გარეთ ვე-

რაეინ გამოსულა, გარდა ექვსი კაცისა, რომლებიც ასის თავმა მომეგვარაო. იმათი წინაპარი ოდესმე ქრისტიანები ყოფილან და სურთ, რომ ისევე მაჰაპაპის რჯულს დაუბრუნდენო.

მეფემ ბრძანა მათი მოყვანა. ლორთქიფანიძე მიუძღვა. ტყვეებმა პირველად თავიანთ წესისამებრ ხელი პირზე მიიდვეს, შემდეგ თავი დაბლა დახარეს, ბოლოს შუბლზე ხელი მიიდვეს და

— ქრისტიანობის მიღება გვინდაო, — მოახსენეს მეფეს.

მეფემ ყველაფერი გამოჰკითხა. გაჩნდა, რომ, თურმე, ერთი მათგანი — გვარად კვინიხიძე — იყო აჭარიდან, მეორე — ქვარიანი — შავშეთის ქვეყნიდან, მესამე ჭოლოშვილი — ასპინძიდან, მეოთხე — კიკიანი — ჭანეთიდან, მეხუთე — ინაკვაძე — ჩაქვიდან, ხოლო მეექვსე — კეტერაძე — ქობულეთიდან.

მათ თაკიანთ რჯულისამებრ თვალსაჩინო განათლება ჰქონდათ მიღებული.

მეფემ უბრძანა:

— ცაებ გულით არა გსურთ ქრისტიანობა და შიში გაიძულებდეთო. მე ძალას არ გიტანთ, გამითავისუფლებიხართ, წადით, სადაც გინდათო.

ამ სიტყვებზე მათ დაიჩოქეს და ხელახლა ითხოვეს ქრისტიანობის რჯული. მეფემ პაპუნა წერეთელი მისცა მათ ნათლიად. ჩაიყვანეს მეფის სახლის ოქროს ჩარდახთან და მონათლეს. მეფემ უბოძა მათ აზნაურობა და მამულებიც დაანათლა.

ერთმა მათგანმა — ანანია ჭოლოშვილმა კარგად შეისწავლა ქართული და შემდეგ მშვენიერი მდივანიც გახდა: ბევრი სიგელი და განჩინება მისი ნაწერია იმერეთში.

როგორც ზემოთა ვსთქვით, ქუთაისის ციხე ფიცისკაცებისაგან იყო შემოკრული. ფოთიდან თათრები საჩრდოს ველარ აწვ-

დიდენ, რადგანაც მეციხოვნეებს ზურაბ მიქელაძე შიგ კრიჭაში უდგა.

დრო იყო, შიმშილით დასუსტებულ თათრებზე იერიში მიეტანათ, მით უმეტეს, რომ გარედან ციხეზე მისამაგრებელი კიბეები ფიცისკაცებს უკვე მზად ჰქონდათ. ბერი ლორთქიფანიძემ უბრძანა ნაფირის დამკვრელს:

— სანამ მე გალავანზე არ შევდგე და ნიშანი არ მოგცე, ნაფირი არ დაუკრათ.

ჯარსაც ასე ჰქონდა მისგან ნაბრძანები, რომ პირველ ნაფირის ხმაზე ყველა ერთად გადამბტარიყო გალავანში.

მიიდგეს ღამით გალავანზე კიბეები, შეჩერდენ მაღლა, დაჰკრეს ნაფირი და ყოველი მხრიდან ერთ დროს გადაცვივდენ ციხის გალავანში.

შეიქნა დიდი ბრძოლა; მზის ამოსვლამდის იბრძოლეს.

ამ ბრძოლაში მოჰკლეს კიკიანი ფაში და ჯარიც სრულებით ამოსწყვიტეს. ციხეში დამწყვდეულმა მტრებმა შიმშილის გამო მაინცა და მაინც დიდი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

ამ ბრძოლაში, სხვათა შორის, იყო აგრეთვე ერთი არგვეთის აზნაური, გვარად ჩიკვაიძე; ის თავის სიშამრს ავალიანს ახლდა; ჩიკვაიძეს თვალი მოეკრა ხატაველი კატისთვის, რომელსაც ქართულად ბარგის კატას ვეძახდით. ეს კატა ხეზე გასულიყო და ტოტებზე დახტოდა.

ჩიკვაიძემ, თურმე, დაანება თავი ომსაც და საშოვარსაც და ყვირილი მორთო:

— ეს კატა დამაჭერიეთო,—იხვეწებოდა ის. მაგრამ კატის დასაჭერად ვის ეცალა და მის ყვირილს ყური არავინ აუხოვა.

გამარჯვებულმა ჯარმა ერთად მოუყარა თავი ყოველივე ნადავლს და საომარ იარაღს.

ნადავლი და იარაღი მრავალი მოარ-
თვეს მეფეს, მაგრამ მეფემ ყოველივე ეს
ისევ ჯარს უბოძა, ზარბაზნების გარდა.

ქუთაისის ციხე უკანასკნელი ციხე იყო,
რომელიც თათრებს ეჭირათ და რაღაც ის
აიღეს, იმერეთი სრულიად გაიწმინდა თა-
თრებისაგან.

დაშშვიდდა ქვეყანა და ძლევამოსილი
მეფე მიეცა სიხარულსა და განცხრომას.
ყოველი მხრით მოდიოდენ დიდებულნი
და, მორჩილებით თაყვანისმცემელნი, ულო-
ცავდენ გამარჯვებას

4

ქუთაისის ციხე საკუთრად ფიცისკაცებმა აიღეს, ისე რომ, სხვა ალარავის კაცრევიათ.

ფიცისკაცები იყვნენ შემდეგი გვარის ხალხი: ლოლოქიფანიძეები, ბენებები, ავალიანები, იოსელიანები, ლოლობერიძეები, მიქაბერიძეები, ყიფიანები, ქორქაშვილები, იაშვილები, უგრეხელიძეები, ვარგოლაშვილები და ჭიბლეიანები.

ესენი ცხოვრობდენ ახალბედისეულსა, დედალოფლისა, ცხუკურსა, გეშტიბსა, ჩუნეშსა, წყალტუბოსა, ქვილიშორსა, გუმათსა, ჯიმაატაროსა, ოფიჩალეთსა, ნამახვანსა და რიონში.

ამ სოფლებს საზღვრავდა ალმოსავლეთით სოფლები: სიმონეთი, ქვაშავა, ნაეწნახევი, ძეერეული (ანუ იგივე ძეერი), ჩხარი და ნაჭერალას მთა; აქედან გაკრძელდებოდა დასავლეთით, ვიდრე სადადიანოს საზღვრამდის და ხოშაბდის; სამხრეთით: ვაკე იმერეთი, ქუთაისი და ჭიშურა; ჩრდილოეთით: კვლავ სადადიანოს საზღვარი, ბომბუას ხიდი, გორღი და ლეჩხუმი, ვიდრე ტაჭის საზღვრამდის.

ამ საზღვრებს შუა ისეთი ბიუდგეტელი ადგილები იყო, რომ ვაკე იმერეთიდან და ქუთაისიდან ურბის შესვლა არ შეიძლებოდა: სოფლებით ძთაგორიანი და ტყიანი ადგილები იყო; ერთ ქცევა ვაკის იშვიათად შეხვდებოდით ვარდა ერთი ადგილისა, რომელსაც გურეშეი ერქვა. ამ გურეშეის ზევით, ერთ ვერსტზე ნაკვეთ ადგილს ლეკერწას ეძახდენ. იქ იდგა ერთი შესანიშნავი დიდი მუხის ხე. ფიცის-

კაცნი, თუთხმეტი წლიდან მოყოლებულ-ნი თავიანთ ყმებით, სამლვდელოებით და ხატებით ამ მუხის ძირას იკრიბებოდენ ყოველ წლობით თუთხმეტ მაისს, და ფიცს სდებდენ:

— მეფის ერთგული ვიყოთ და თანაც ჩვენი ოჯახების მტრის მტერი და მოყვრის— მოყვარეო.

ცალ-ცალკე გამოდიოდენ გვარეულო-ბით; როდესაც ესა თუ ის გვარი ფიცს სდებდა, ყმები უკან იდგენ; ხოლო ფი-ცის დადების შემდეგ, ყმებიც მიდიოდენ, ხატებზე ხელს ადებდენ და ამბობდენ:

— ჩვენი ბატონი მართალს ფიცავს ამისმა მადლმაო.

ფიცი რომ გათავდებოდა, გამოეიდო-დენ იქვე გურეშევის დიდ მშვენიერ მინ-დორზე. იქ ჰქონდათ მომზადებული ნე-შოს კარვები, ჰყავდათ ხაბაზები, მზარე-ულები.

ლოგინებად ჰქონდათ ნეშო და ზედ დაგებული ხალიჩები და ქვეშსაგები.

სადილ-ვახშამი, მართალია, კერძოდ კეთდებოდა, მაგრამ ჰამად კი ყველანი ერთად დაჯდებოდენ ხოლმე, პირველად უმთავრესი სასმისით უნდა დაელიათ ღვინო და ეთქვათ: „დიდება ღმერთსა, ღმერთო, გაუმარჯვე ჩვენს მეფეს და მის ერთგულს ერთობით ფიცისკაცს, შენდობა ბატონო!"

იყო სიმღერა, ცეკვა-თამაში და შეუწყვეტელი თოფის სროლა. ეს ლხინი გასწევდა, უკეთუ დარი არ შეუშლიდა ხელს, ორ კვირას.

იყო ყოველ დილაობით სროლა ყაბახზე, საღამოს ჯირითი. პირველი ყაბახის გაგზავნის მოვალე იყო მეფე; აგზავნიდა პრტყლად გაჭედილ ვერცხლს. ამის ჩამოგდების შემდეგ დასცემდენ ყაბახს ქაშანურს; ყოველი ოჯახიდან იყო მოტანილი ვერცხლის ჭურჭელი, ე. ი. აზარფეშა, თასი

და ვერცხლის ჭიქები; ვის სახელზედაც ყაბახი დაისმოდა, მისი მიტანილი ვერცხლეულობაც იქვე ხის ძირში იდვა. ვინც ყაბახის ქაშანურს გასტეხდა, ვერცხლიც მისი იყო.

ფიცისკაცს დიდი გაელენა ჰქონდა მეფესთან, ასე რომ, უკეთუ ვისმე მეფე გაუწყრებოდა, შერისხული ხშირად ფიცისკაცს მიმართავდა. და თუ შეასწრებდა თავის საზღვარში, მდევარი ველარ შეჰყვებოდა; რაკი ფიცისკაცს მიენდობოდა, მეფე ძალით ველარ ვამოიყვანდა. ასეთ შემთხვევაში ფიცისკაცნი, თავიანთი ყმებით შეკრებილნი, ერთ ადგილას ქუთაისის მახლობლად დაბინაედებოდენ, მიუგზავნიდენ მეფეს ბოკიქულს და მოახსენებდენ, რომ ეპატიებინათ მათთვის ის დამნაშავე კაცი. არ იშუამდგომლებდენ მხოლოდ მეფისა და ქვეყნის მოღალატისთვის; სხვებს კი, როცა შენანებულს ნახავდენ, თავიანთ

ქალთას აფარებდენ, და მეფეც იძულებული ხდებოდა მიეტევებია.

ფიცისკაცებს, საზოგადოდ, ყოველთვის და მეტადრე ომის დროს, დიდი ერთობა ჰქონდათ: ომში ერთად შედიოდენ, ერთი მეორეს ვერ-დატოვებდა, ან ერთად გაწყდებოდენ ან-და ერთად გამოვიდოდენ; არც დაჭრილს დატოვებდენ და არც მკვდარს. თუ ვინიცობაა, ვინმე ხელ-გამოუღებელი და ან შეშინებული მოკვდებოდა, იმას ადარ მარხავდენ და არც შინ წამოიღებდენ, მინდვრად დააგდებდენ მხეცების შესაჭმელად.

უკეთუ ამისთანა კაცი ცოცხალი გადარჩებოდა ომის დროს, იმაზე იტყოდენ:

— ფიცისკაცს ულალატია.

ალარც შეიძლებოდა მისი დანარჩენებში დატოვება, მაშინათვე აყრიდენ და გადაასახლებდენ, მის ადგილ-მამულს კი ისევ ფიცისკაცები შეიყიდდენ ღირებულ ფასად.

5

პირშავი ერისთავი დიდხანს არ მიჰკარებია მეფეს.

ბოლოს დარწმუნდა, რომ მეფე თვალსაჩინოდ გაძლიერდა და მაგრად ზის ტახტზეო და მაშინ კი წამოვიდა შვილებიანად მეფესთან მისალოცავად. წყვილი ირემი და სანაჭებო საკლავი წინდღით მოართვა.

ერისთაველს ბინა მიუჩინეს. აქ მათ თავდაპირველად ტანისამოსი გამოიცვალეს და შემდეგ იახლნენ მეფეს.

ორი დიდებული კარისკაცი წინ მიუძღოდა.

მეფე აუდგა.

ერისთავებმა კვანტგადადებით თაყვანი სცეს და გაჩერდენ.

— ყოვლად ძლიერო მეფეო იმერეთისა, დიდო სოლომონ,—ჰკადრა როსტომმა,—მოგილოცავ გამარჯვებას! ძლევაშემოსილმა მარჯვენამ თქვენმა დათრგუნა წინააღმდეგნი თქვენნი ქვეშე ფერხთა თქვენთა. თქვენ დააგვირგვინეთ საფეფო თქვენი ესე, ვითარცა წინაპარმან თქვენმან ლეონ ბაგრატიონმა, რომელსაც დაადგა თვით ანგელოზმა თავსა ზედა ზეგარდმო ხელთუქმნელი გვირგვინი, და ვითარცა უბრძანა მაცხოვარმა მოციქულსა პეტრეს: შენ ხარ კლდე და ამა კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, ეგრეთვე თქვენ ხართ კლდე გმირობისა და სიმტკიცე ქრისტიანობისა. შენ შეიმოსე ძალი ძლიერი, გაანათლე იმერეთი და ამიერიდან მაჰმადიანის მძორებითა ალარ შეიბილწეპის ნათელღებული სამშობლო ჩვენი.

ვთხოვ ზეგარდმო განგებას ესრეთ. განაგრძოს დღენი თქვენი მრავალ წელს და შემდეგ თქვენი მეფობისა მემკვიდრეთა თქვენთა ასეთივე ძალა და დიდება შეიმოსონ, ვითარცა თქვენ.

მეფე თვალებში შეჩერებოდა ერისთავს და ბოლოს ბრძანა ცივად:

— როსტომ ერისთავო, ღმერთსა ვთხოვ ის შემასრულებიოს შენთვის და ჩემი სამეფოსთვის, რაც მსურდეს და გულში მედვას!

დარბაისლებმა დასძახეს:

— ამინ!

პაპუნა წერეთელმა კი ორჯერ გაიმეორა:

— ამინ, ამინო.

ერისთავებმა კვლავ თაყვანი სცეს.

მეფემ ფეხი წინ წამოდგა, როსტომმა გულზე აკოცა, მეფემ თავზე, შვილები კი ხელებზე ეამბორენ მეფეს. მეფემ სელის მოტანა ბრძანა და ერისთავი გვერდით მოისვა. შვილები კი მოშორებით დასვეს.

ისეთი რამ სანახავები იყვნენ ერისთავები, რომ უცნობი ვინმე როსტომს მეფედ ჩათვლიდა, ხოლო მის შვილებს მეფისწულებად.

დიდხანს დარჩენ მეფესთან ერისთავები, ერთად ისადილეს და სადილის შემდეგ თავიანთ ბინაზე წავიდნენ. შვილებმა უთხრეს როსტომს:

ძალიან ალერსიანად გვეპყრობა მეფეო.

მამას მწარედ გაეღიმა:

— თქვენ ვერ ატყობთ, თორემ ეგ ალერსი, რისხვაზედ უარესია. ჰაპუნა წერეთლის „ამინ-ამინი“ კარგს არაფერს მოასწავებდა და თუ ჩვენ თავი დღეს არ დავაძვრინეთ როგორმე, ცუდად არის ჩვენი საქმე.

შორსმჭვრეტელმა ერისთავმა ჰაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუგზავნა მეფეს და სთხოვა:

— რადგანაც სიშორისა გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შეშიძლია, გთხოვთ მიიღოთ ჩემი ყოველივე სამკვიდრო: ბარაკონში ციხე და სასახლე, ამბროლაურში კოშკები და სასახლე, სევას ციხე და სასახლე, ონში ციხე, სასახლე და თვით პატარა ქალაქიც, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი რაჭის სამფლობელო აზნაურ-გლეხებით, და სამაგიერო აქ მახლობლად სადმე მიბოძოთ მამულიო.,

მეფეს ეს ამპავი დიდათ იამა. აღუთქვა სამაგიეროს ბოძება. როსტომს ვეზირობა უბოძა, მის შვილს—გიორგის სარდლობა, ხოლო მეთოდეს მდივანბეგობა. მერე შემოიკრიბა ვეზირნი და ჰკითხა, თუ რა მიეცა შენანებული ერისთავისათვის ამ დათმობის საპაგიეროთ. მათი რჩევისამებრ დაიბარა მდივანი და მისცა მას სიგელის შესადგენად თანაშემწე ოტია ჩხეიძე:

„ჩვენ მეფეთმეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან და დედოფალთ-დედოფალმან მაკრინემ ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ, ჩვენს ერთგულს, დიდებულს თავადს როსტომ ერისთავს, შვილთა და მომავალთა თქვენთა, ასე რომ, გიბოძეთ ყმად სოფელს გეგუთში მცხოვრებნი გლეხნი ყოველ-ივე გვარისანი; გარდა ამისა სოფლები: პატრიკეთი, უკანეთი და მესხეთი; რაც ამ სოფლებში მცხოვრებნი გლეხნი და აზნაურნი არიან საჩემო—ყველანი შენ გიბოძეთ; გარდა ამისა სამოსახლოდ გიბოძეთ გეგუთს თამარ მეფის ნასახლი, ციხე და ეკლესია; რაც ნაკლებობა აქვს მე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა სამი ათასი ქცევა ირგვლივ შენი მოსახლეობისა ვიბოძეთ; გარდა ამისა საშუშედ სალორიას ტყე—ჭუთაისიდან სამხრეთით ხანის წყლის მდინარის ღელემდის, აღმოსავლეთით წყალწითელას მდინარის

ღელემდე, დასავლეთით რიონის მდინარემდე; გიბოძეთ მთა საჯოგეებად სახელწოდებული „ტიტველად“. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარია, დასავლეთით ჩიჯავაძის საზღვარი, სამხრეთით ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით სოფლები. ესე ზემოხსენებულნი აზნაურნი, გლეხნი მიწაწყალ-მთებითურთ შენთვის გვიბოძებია. უკეთუ ჩვენი ერთგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქნები, ესე წყალობა არც შენ და არცა შენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს არასოდეს ყამსა. აწ არიან სიგელისა ამისა მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: წერეთელი პაპუნა, აბაშიძე ბაიტა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა მდივანი, პაპუჩა და ქაიხოსრო აბულაძეები, თანდარუხ იოსელიანი და დარბაზისა ჩემისა ერნი“.

ეს სიგელი მეფემ ხელჩართულ ბეჭდითურთ ერისთავს პაპუნას ხელით უბოძა. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდა მეფესთან, კვანტგადადებული მადლობა შესწირა და მოახსენა, რომ მეცხოვნეები გაატანოს და ციხეები ჩაიბაროს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა.

მეფემ დასტური მისცა და ციხეების მისალებად მეციხოვნეები ბასილა და კვირიკა იამანიძეები გაატანა.

გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წავიდა რაჭას. ნაქერალას ბთის ფერდზე შემოხვდა ერთი რაჭველი აზნაური, მეფესთან მიმავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბრძანა: თუ შენი ხელით არ მიეცი მეფეს, რაჭის ქვეყანას გამოეთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა: მიტანის დროს ორივე ხელი რომ მომჭრას, მაინც მივართმევო. წიგნში ეწერა

„შენსა მოვალ და შევამკობ მე შენსა ტანადობასა, შენი უდასტურობა კი არღვევს ჩვენს ბატონყმობასა“.

ეს წიგნი ამ აზნაურმა მეფეს მიართვა. სოლომონმა წაიკითხა, პაპუნა წერეთელი შემოიხმო და ჰკითხა:

— ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ მოგვატყუა, რომ ხელიდან გაგვძრომოდაო.

პაპუნამ შორს დაიჭირა. მაშინ მეფემ წიგნი გადასცა და წააკითხა. წერეთელს კიდევ არ სჯეროდა და ამბობდა:

— რა ვიცი, რაც ის ვახარებული მიდიოდა!

— ვახარებული მიტომ წავიდა, რომ ჩვენ მოგვატყუა, ხელიდან გაგვიძვრაო,— უპასუხა მეფემ.



6

გზაზე ერისთავმა უთხრა შვილებს:

— ასე რომ არ მოგვეხერხებია, ჩვენი საქმე ცუდად იყო და უთუოდ დაგვამარცხებდენო. ვერ შენიშნეთ, როგორ წვრილწვრილად იკრიბებოდენ ფიცისკაცები: ლორთქიფანიძეები, მესხები, ავალიანები და სხვანიო. ოტია მესხი და მისი ძმა ივანეც ცალ-ცალკე მოვიდნენ, რომ ეკვში არ შეეყვანეთო.

— ეგ ორი ძმა მესხი და არჩილ ბატონიშვილი სწორედ რომ საშიშრონი იყვნენ და სხვებს კი რა მოგახსენოთ,

— ჩაილაპარაკა მეთოდემ.

— შენმა გაზრდამ, არც სხვები იყვნენ მაგათზე ნაკლები. ბევრი უკეთესებიც

ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲕᲔ ᲛᲐᲒᲐᲗ ᲓᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲐᲗ ᲕᲐᲟᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡᲝ,—ᲛᲘᲣᲒᲝ ᲣᲛᲪᲠᲝᲡᲛᲐ ᲫᲛᲐᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲛ.

ᲐᲛ ᲡᲐᲚᲑᲠᲘᲗ ᲛᲘᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲑᲐᲠᲐᲙᲝᲜᲡ.

ᲑᲐᲡᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐ ᲘᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔᲑᲡ ᲪᲘᲮᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲜᲔᲡ ᲛᲔᲤᲔᲡᲗᲐᲜ:

„ᲔᲡᲔ ᲐᲡᲠᲔ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲡ, ᲑᲐᲡᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲙᲐᲝ,
ᲪᲘᲮᲔᲡ ᲛᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲡ, ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲡ ᲛᲐᲫᲚᲔᲡ, ᲓᲐᲕᲯᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲠᲘᲙᲐᲝ?..
ᲬᲐᲓᲘᲗ, ᲣᲗᲮᲐᲠᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲡᲐ ᲛᲔᲤᲔᲡ: ᲛᲔ ᲒᲐᲠᲚᲐᲕᲐᲠ ᲓᲘᲓᲘ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲘ!
ᲛᲔ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲐᲓ ᲒᲘᲐᲑᲔᲚᲘ, ᲛᲘᲠᲘᲠᲝᲑᲓᲘ ᲚᲐᲚᲐᲢᲡ ᲠᲐᲢᲝᲛᲘ?
ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲘᲗᲕᲚᲘ, ᲬᲘᲒᲜᲘᲐᲪᲐ ᲒᲬᲔᲠ, ᲮᲔᲚᲘ ᲐᲘᲦᲔ ᲠᲐᲙᲐᲑᲔᲓ,
ᲛᲘᲑᲔᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲛᲝᲠᲩᲘᲚᲝᲑ, ᲡᲬᲝᲠᲘ ᲒᲘᲓᲒᲔᲑᲘ ᲫᲚᲐᲑᲔᲓ,
ᲠᲐᲤᲘᲡ ᲑᲔᲒᲐᲠᲐᲡ ᲐᲕᲘᲦᲔᲑ, ᲐᲠ ᲒᲔᲠᲘᲜᲓᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲑᲔᲓ.
ᲮᲑᲐᲬᲠᲝᲓ ᲕᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲕᲠᲔᲑᲣᲚ ᲩᲔᲚᲢᲘᲡ ᲑᲐᲒᲐᲑᲔᲓ?
ᲗᲣ ᲛᲘᲠᲘᲠᲔᲑ ᲐᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ, ᲐᲮ ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲘ, ᲠᲐᲦᲐᲡ ᲧᲝᲕᲜᲘ,
ᲪᲘᲮᲔ ᲛᲘᲓᲒᲐᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲙᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲖᲔᲓ ᲐᲙᲠᲐᲕᲡ ᲑᲐᲠᲐᲙᲝᲜᲘ!

ხიდის კარში მეველები მყავს და კოშკები სამაგრონი
ჩემი იყო, ქვეც წაგართვი კეფარო და რაჯა-ოლი
ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კაბაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ცმანი ჰყავდა ორად ბევრი.
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მლერი,
გემორჩილო, არ გაბლავარ ქაჯაია შენი გერი".

ეს წიგნი იამანიძეებმა სახლთუხუცესს გადასცეს. იმას არ უნდოდა ეჩვენებია მეფისათვის, მაგრამ დამალვაც არ შეიძლებოდა და მიართვა. ლექსის წაკითხვაზე სოლომონს ცეცხლი შემოედვა. მოიხმო სარდალი წულუკიძე და უბრძანა:

— წადი ეხლავე ბარაკონში, ერისთავები გასწყვიტე ცოლშვილით, ციხეები, კოშკები და ყოველივე მათი შენობა დასწვი, ხიდისკარის კოშკები დაარღვიე... თუმცა სალი კლდე არის გაბოკვეთილი, მაგრამ წაიყვანე ოსტატები, მიეცი ლალუმი და მოშალე. ერთი სიტყვით, ქვა-ქვაზე დაადულეო...

ეს რომ დარბაისლებმა და კარისკაცებმა გაიგეს, იუცხოვეს:

— უჩვენოთ ასეთი მძიმე საქმე ბატონს ვერ უნდა გადაეწყვიტაო. ერისთავთან ომი როგორ ეკადრება? საკუთარ თავადთან ბრძოლა სირცხვილი არისო; ამას გარდა ერისთავთან, ასეთი სიმაგრეების პატრონთან, არც ასე ადვილია ‘მებმაო.

ყველანი ერთად შეიკრბნენ მეფესთან და თაყვანი სცეს ჩვეულებრივ. მეფე ტახტზე იჯდა და შუბლზე რალაც მწუხარების ხაზი ჰქონდა გადაკრული. მეტი სიფიცხის გამო თვალთაგან ცეცხლს ყრისო, იტყოდით.

დიდებულნი თავდახრილნი შეყურებდნენ, პირდაპირ თვალს ვერავინ უსწორებდა.

მეფემ დარბაისელთ დაჯდომა უბრძანა. ჩამწკრივდნენ თავ-თავიანთ ადგილზე. წერეთელი მდივანს გადასცა ერისთავის მო-

წერილი. მდივანმა წაიკითხა. ყველანი გაინცვიფრდენ. დაიწყო დარბაზობა.

პაპუნა: მეფემ გადასწყვიტა ჯარის გაგზავნა, გაწყვეტა ერისთავების, დაქცევა და დაწვა ყოველი მათი შენობისა. თქვენ. რას იტყვით?

პაატა აბაშიძე: ღირსია ყოველგვარ უბედურების მიყენებისა. როგორ გაბედა ან მოტყუება და ან ამ წიგნის შოწერა? დიახ, კარგად უნებებია ბატონ მეფეს.

ბერი წულუკიძე: რადგან ნაბძანები მაქეს საომრად წასელა, ვერას ვიტყვი.

ბერი ლორთქიფანიძე: ადგება და მეფეს შეჰყურებს.

მეფე: რას გაჩერდი, ბერო?

ბერი: მეშინია მოგახსენო.

მეფე: ნებას გაძლევ, სთქვი.

ბერი: ერისთავი შენი ყმა არის. საკადრისი არ არის ერთი თავადის გულისათვის აგრე აჩქარება, ბატონო მეფევ. ამასთან მასაც ნუ დაივიწყებთ, რომ სამანი კაცი იმერეთიდან, ოდიშიდან და გურიიდან თან ახლავს. ესენი ყველა კარგი ოჯახის შვილები და ძლიერ მარჯვეები არიან. ორასი კაცი რაჭველი, ოსი, ჩერქეზი და სვანი ახლავს, თავისი საკუთარი ოჯახის გამგე და მოსამსახურეებიცა ჰყავს იარაღს ქვეშ. ხიდის კარში კოშკების ორივე მხრით სალი კლდეა გამოკვეთილი. რიონის ხიდის საძირკველის თაღები ორივე მხრით კოშკების კარებზეა მიდგმული; თითოში ორმოც-ორმოცი კაცი ჰყავს ყარაულად. ერთი ათას დაამარცხებს. ამბროლაურის აღება არ არის ძნელი, თუმცა ჯარი იქაცა ჰყავს კოშკებში, მაგრამ გაშლილი ადგილია; ესეცაა, რომ. როგორც ციტეეიდან დაინა-

ხავენ მიმავალ ჯარს, სასახლის კოშკებს დასტოვებენ და მიემატებიან ხიდისკარის ყარაულებს. ეს კოშკები ისეთი მიუდგომელია, რომ არც ზარბაზანი მიუდგება და არც თოფი. იმათ კი ხელის გულზე ეყოლებათ მიმსვლელები. ამ ხიდისკარს გარდა სხვა შესასვლელი გზა არ არის. ონიდან რომ მოიაროს ჯარმა, ერთი მხრით რიონის წყალი ეკნება, ხოლო მეორე მხრით სალი კლდე. ციხე იმისთანა ადგილას აქვს, რომ არც ონიდან და არც ხიდისკარიდან მიმსვლელს არ ააკდენენ ზარბაზანის ყუმბარას, უეჭველია. დიდ ზარალს შოგვცემს ერისთავი და შევრცხვებით...

ზურაბ ზიქელაძე: ეჰ, თუ ერთ თავის ყმას ვერ მორევია, რალა მეფობა ჰქვია ამისთანა შეფობას! ყმა კი არა, ამხანაგი ყოფილა და ის არის.

ოტია ჩხეიძე: ერისთავის დასამორჩილებლად რომ რამოდენიმე ათასი თავადაზნაური დავკარგოთ, რა მოგება იქნება?

თამაზა მესხი. ერთი თავადის დამორჩილება ჩვენს ქვეყანაშიც თუ ასე გაგვიძნელდა, გარშემო მოსაზღვრე მტერი სულ აღარაფრად ჩაგვაგდებს და არც ჩასაგდები ვიქნებით.

მამუკა მდივანი: ასეა ბრძენთაგან ნათქვამი: „ხერხი სჯობია ლონესო, თუ კაცი მოიგონებსო“. ძალაცაა და ხერხიც. ორივე ჩვენ ხელთაა. რა საქები იქნება ერთ კაცს თავი შევაკლათ? ისიც ვის? ისევ ჩვენს ყმას. ის შემძვრალია კლდეში, როგორც დათვი სოროში და იქადის. მას უნდა მოტყუებით გამოყვანა. მერე რაც ეკადრება ის კუყოთ...

პაპუჩა აბულაძე: ნათქვამია ესეც: სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა

მამაცისაგანო“. კაცი შემძვრალა გამოქვაბულ კლდეში, შენი ნასროლი ვერას აკლებს და მისი არ აგცილდება. ამისთანა ადგილზე ომს უომრობა სჯობია, ერთხელაც იქნება ისეც ჩაგივარდება ხელში.

ქაიხოსრო აბულაძე: ათი ათასი მეომარი რომ გაიგზავნოს ერთ კაცზე, სირცხვილი იქნება: ის არ არის არც მეფე და არც მთავარი. მისთანა დიდებული თავადები სხვებიც არიან ჩვენს სამეფოში.

მისი ძალაა მხოლოდ ადგილის სიმაგრე და რად უნდა შევაწყდეთ? სჯობია, როგორმე გარეთ გამოვიტყუოთ.

თანდარუხ იოსელიანი: შეიძლება არც კი შეგვებას, დაგვიტოვოს ციხეები, გადავიდეს საზღვარგარეთ. შემდეგისთვის მოემზადოს, შეკრიბოს ოსეთის ჯარი, მოიმხროს ჩერქეზის მთავარი: ყიზილყო ბატონი მისი დიდი მეგობარია ამას გარდა სვანეთის მთავართან მძახლობა აქვს, აფ-

ხაზეთის მთავარი ქელეშბეგ შარვაშიძე შვილობილია მისი. ესენი ყველა ჯარს ათხოვებენ. ერთი სიტყვით, ყოველი კუთხით შფოთსა და უკმაყოფილებას აგვიტეხს. არ ივარგებს ჯარის გაგზავნა. ვაკალოთ რამდენსამე ხანს და მერე მოვიტყუოთ რამენაირად.

ამ დროს მეფის ძმა არჩილი შემოვიდა. გაუზიარეს იმასაც ნათათბირები და იმანაც ასე ბრძანა:

— მართალია, ჩვენს ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არის, როცა იქნება, ჩაგვივარდება ხელშიო.

მეფე სრულებით გაჩუმებული იყო, ხმა არ ამოუღია. კარისკაცებმა მას თაყვანი სცეს და წავიდნენ თავ-თავიანთ სახლში.

7

გავიდა რამდენიმე წელიწადი.

ეს საქმე სრულებით დაჩუმდა. ეს კი იყო სამწუხარო, რომ ყოველ ოჯახიდან ზოგი რომ მეფეს ახლდა, ზოგიც ერისთავს. ძმა ძმას ველარ ხედავდა, მამა შვილს, შვილი მამას და ნათესავი ნათესავს. ტკბილი მოყვრობა მწარე მტრობით შეიცვალა და აირიენ ოჯახები რაჭა-იმერეთში. ერთ დღეს ვეზირთა და დიდებულთა რჩევით მეფემ მოიხმო თავისი ძმა იოსებ კათალიკოსი დი შესჩივლა:

ხომ ხედავ,. რ ? როსტომ ერისთავი გამიორგულდა... მასთან ჩხუბისა მცხვენიან და ის კი არ მეპუება, რომ შეინა-

ნებდეს, ყოველსავე მივუტევებ, შევირიგებ და დავიახლოვებ, რადგანაც ყოველგვარად შესანიშნავი კაციაო.

ეს რომ მშვიდობისმოყვარე კათალიკოსმა გაიგონა, მოუწონა მეფეს და შუამავლობაც თავს იდვა. დაიბარა ქაიხოსრო აბულაძე და დაუყოვნებლივ გაემართა თავის კრებულით და მხლებლებით რაჭისაკენ.

როცა კათალიკოსმა რაჭის საზღვარს მიაღწია, ერისთავმა შეიტყო და შიაგება თავადაზნაურები დი ერთი მარქაფა ბედაური, ძვირფასი უნაგირით და რახტით შეკაზმული. მიეგებენ ნიკორწმინდის ტაძართან, ტაყვანისცეს და გაუძღვენ, როგორც ჩვეულება იყო. ყველა წინ მიუძღოდა, გარდა მეჯინიბისა: ის კი უკან მისდევდა; ცოტა მოშორებით ძუა-ფაფარ შეღებილი ულაყი მიყავდათ მარქა-

ფად. მიაღწიეს ამბროლაურის სასახლესა. და დაჰკრეს ეკლესიის ზარი, კოშკებიდან ჯარები დასცალეს. იქ დახვდათ ერისთავის შვილები. თავში ჯვარით იდგა კარის მწირველი, ერისთავის სასახლის მოძღვარი იოანე,—გვარად ბაქრაძე.

გადახტა ცხენიდან კათალიკოსი, მივიდა და ჯვარს ემთხვია. წინამძღვარმა შესხმა მოახსენა:

— მღვდელმთავრობისა კვართითა შემკობილმან ღვთის მეცნიერად ქადაგე, შენ, სახარება სასუფეველისა, იოსებ, და მართმადიდებლობისა სწავლანი აღმოთქვენ და ეკლესია განანამდიდრე მოძღვრებითა. ღვთისმეტყველებდეთ და ვადიდებდეთ ყოველნი მეუფებასა შენსა, რომელსა ევედრე ცხოვრებათ და განათლებათ სულთა ჩვენთათვის".

კათალიკოსმა ჯვარი გადასახა, ერისთავის შვილებმა ხელი მოჰკიდეს, შესვეს

ცხენზე და წინ გაუძღვენ. ხიდისკართან დახვდა სამღვდელოება და ხალხი მრავალი საეკლესიო ბაირაღებით. ასე ჩავიდნენ ერისთავის ეზოში.

დაჰკრეს დიდი ზარი. ამას გარდა, რადგანაც კათალიკოსი გვარად ბაგრატიონი იყო და მეფის ძმა, მეფის წესისამებრ დაუბვდნენ; ციხიდან ზარბაზნის სროლა დაიწყეს, ჰიშკართან ერისთავის ცოლი მიეგება, მას თან ახლდა ელისაბედ მონოზანი ღვთისმშობლის ხატით. მოეგება თვით ერისთავიც, ეამბორა და ხელმოკიდებული მიიყვანა ეკლესიის კარებთან. აქ მოართვეს მანტია კვერთხი. ერისთავის შვილებმა გალობით შესხმა მოახსენეს:

„იოსე მთავარი მ'მვიდობისა მოვიდა დღეს“ და სხვანი. დაჰკრეს დიდხმოვანი ებანი. მგალობლებმა ზედ დაამღერეს: „უფალო, ღაღად ვყავ შენდამი, ისმინე, ისმინე ჩემი, უფალო“.

შევიდენ ეკლესიაში, კათალიკოსი ხატებს ემთხვია, მერე საკურთხეველში ტრაპეზს და გამოვიდა; ორივე ხელით ჯვარი გადასახა ხალხს და მერე შევიდა ერისთავის სახლში.

საუბრის დროს კათალიკოსმა სიტყვაში გაურია, რომ დადიანი და გურიელი დიდ მორჩილებას იჩენენ მეფისადმიო: ცხენზე შეჯდომის დროს ერთმა აღვირი უნდა დაუკაოს, ხოლო მეორემ უზანგი უნდა დაუწიოსო. მიხვდა ერისთავი და უპასუხა:

— ვიცი, თქვენო მეუფეპავ, ყველანი, თავადნი და დიდებულნი ამ წრეში უნდა იდგენ, რადგან მეფობა წარმოადგენს გარეშემოუწერელ უფლებას თვისთა ქვეშევრდომთა ზედაო.

— თუ იცი, მაშ შენი ურჩობა რაღას ნიშნავსო? განაგრძო კათალიკოსმა: — შენც კარგად იცი, კანონში სწერია, უკეთუ მეფეს მეფობა არ გაუვა, უნ-

და დასტოვოს მეფობა თავისი, შენ კი ერთი დიდებული თავადთაგანი არ ემორჩილები. ეს სამარცხვინო საქმე არის მეფისათვის: გარეშე მტრები რომ გაიგებენ, შემოესევიან სამეფოს და ქრისტიანობა შეირყევა. მართალია, შენი დამორჩილება არ გაუკირდება მეფეს, მაგრამ ბევრი უბრალო სისხლი დაიქცევა და ამას ერიდება. როგორც სულიერი მამა, გირჩევ, დაფიქრდი ამაზედო.

ერისთავმა თავი იმართლა:

— მე ვიახელი მეფეს, ჩემს გულში ღალატი არ ყოფილა.

— ნუ გავიხსენებ ხრესილის ომი, როდესაც მეფეს უმუხთლე და მოატყუე, —გააწყვეტია სიტყვა კათალიკოსმა,—მაგრამ ყოველთვე უნდა დავივიწყოთ, რადგანაც ქვეყნისთვის საჭიროა მშვიდობა და და კაცთა შორის სათნოება; მე შეგარიგებ მეფეს.

როსტომ ერისთავმა სიხარულით თანხმობა განაცხადა, მხოლოდ ის პირობით, რომ კათალიკოსს ეკლესიაში ბარძიმზე დაეფიცა. კათალიკოსმა აღუთქვა და, რათა მეფის თანხმობაც მიეღო, გაგზავნა ქუთაისისაკენ.

მეფეს დიდათ ეწყინა ერისთავი რომ ვერ ნახა მოყვანილი. კათალიკოსმა ყოველივე დაწვრილებით უამბო და დაუმატა:

— ცხადია, რომ მხოლოდ სიკვდილის ეშინიან. მეფეს გაეღიმა:

— გაძლევ სიტყვას და ვფიცავ შენ ბატონის ღვთისმშობელს, არც ის და არც მისი შვილები არ მოეკლა და ისეთი პატივსცემითაც მივიღო, რომ საარაკო დარჩესო.

ამ სიტყვების შემდეგ ხელმეორედ წავიდა კათალიკოსი რაჭას და ბარძიმზე ხელის დადებით დაარწმუნა ერისთავი, მეფე არას გავნებსო.

ᲣᲜ

შეიქნა დიდი სიხარული. დიდი ხნის დაშორებულები ახლა ფიქრობდენ თავიანთი ნათესავებისა და მოყვრობის ნახვასა და შერიგებასა.

ამ დღესვე დაიბარა ერისთავმა ციხის მოურავი ალი ენგიჩარი და იმას ჩაბარა ყველა ციხე. ეს ალი ენგიჩარი სტამბოლელი იყო, ხნიერი, მაგრამ გარეგნობით ოცდაათი წლის კაცს ჰგავდა. ოცი წლის რომ შესრულებულიყო, ასისთაობა მიეცათ; მაგრამ გულუმაძღარ ახალგაზრდას მეტი მოენდომებია, მით უფრო, რომ ენგიჩრების ამბავი გულში ჩაეროდა. ერთ დროს ენგიჩრებს დიდი ძალა ჰქონდათ სტამბოლში: ხონთქარს ხან ამყვანდენ ტახტზე და ხან გადააგდებდენ. ვინც კი კარგი გამოეიდოდა ოსმალეთში, ყველა ენგიჩრად მიდიოდა, და ამგვარად ენგიჩარების რაზმი დღითი-დღე მატულობდა. მათი თავგასულობა უსაზღვრო იყო. უკა-

ნასკნელ ენგიჩარს რომ ეთხოვა პირველი დიდებული კაცის ქალი, უნდა დათანხმებოდა; წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ენგიჩარები ერთად შეიკრიბებოდენ, დაესხმოდენ თავზე ურჩს, აიკლებდენ და ქალს თავიანთ აბზანაგს მიგვრიდენ. გზაზე მომავალ ენგიჩარს ხელი ხმალზე ედვა და ვინც წინ შემოეყრებოდა, თუ ნებით არ გადაუხვევდა, თავს გააგდებიებდა.

ერთმა ახლად ტახტზე აბრძანებულმა ხონთქართაგანმა ველარ აიტანა მათი ძლიერება, მოიტყუა ყველა და ღალატით ამოსწყვიტა. ეს ამბავი რომ ჰქონდა გაგონილი ახალგაზრდა ალის, მოინდომა ძველი დროის აღდგენა და ახალი ენგიჩრების გაჩენა. შეუტყვეს შეთქმულებს და ბევრი მათგანი ჩამოახრჩვეს; ალი ასისთავმა კი მოასწრო გადავარდნა. ლაუწყეს დევნა. ოცდათხუთმეტ წელიწადს გადა-

ვარდნილი იყო, იმალებოდა სათათრეში-
ვე და ბოლოს ერთი მისი ნათესავი, კი-
კიანი ფაშა რომ დანიშნეს იმერეთში და-
ბანაკებული ჯარის უფროსად, მას მიენ-
დო დაკითან გამოჰყვა. ფაშამ თავის მეფის შო-
ლალატის შენახვა რომ ვერ გაბედა, როს-
ტომ ერისთავს გაუგზავნა. ერისთავმა მიი-
ღო და ციხეები ჩააბარა. დიდ პატივში
ჰყავდა და ალი ენგიჩარიც შეეთვისა ერის-
თავს.

მას ალარ შორდებოდა, მეციხოვნებიც
გამოუზარდა.

აი, ეს კაცი დასტოვა ერისთავმა მო-
ადგილედ, ხოლო თვით მეფეს ეახლა.

მეორე დღეს სადილი ტყიბულში ჭამეს;
იმ ღამეს ქაიხოსრო აგიაშვილის საზაფხუ-
ლო სადგომში დაბინავდენ ცუცხვათს; იქი-
დან კი მეფეს უნდა ხლებოდენ ვარცი-
ხეს.

ერისთავის მგზავრობა ასეთი იყო: ბარგს, სამზარეულო ხელსაწყოს, პურს და ღვინოს ასი ცხენი და ჯორი უნდებოდა. სადაც დაბინავდებოდა, სადილი თუ ვახშამი იქ უნდა გაკეთებულიყო. თანვე მიჰქონდათ შუაზე გახერხილი თორნები და უცებ გამართავდენ ხოლმე. ჯოგად მოერეკებოდენ საკლავს.

მეფე დიდი ჯარით მიეგება. ეს ცოტა არ იყოს, ერისთავს გაუკვირდა. ერისთავები ხელზე ეამბორენ მეფეს, მხლებლები კი დამწკრივდენ, დაიჩოქეს და ისე სცეს თაყვანი.

იქ შეიქნა ერთი აღდგომის ლიტანიობა: დიდი ხნის უნახავი ძმები ერთმანეთს ეხვევოდენ, კოცნიდენ და ტიროდენ; ზოგმა მამა ნახა, ზოგმა შვილი და ზოგმა ძმა. ჯარმა თოფის სროლის ნება ითხოვა, მეფემ დასტური მისცა. სულ სროლით მივიდენ ვარციხეს, ერისთავის ' ჯარის

მხრიდან უფრო ფიცხელი თოფის ხმა ისმოდა, რადგანაც სვანური წამალი ჰქონდათ; თვითონ ერისთავი აკეთებინებდა თავის სასახლეში. ვარციხის ერისთავს სახლები მიუჩინეს, მაგრამ არ ისურვა, რადგანაც ნაბდის კარვები ჰქონდა საკმაოდ წამოღებული ჯარისთვის, ხოლო ერთიც დიახ დიდი და ძვირფასი ნაბდის კარავი საარკმლებიანი თავისთვის წამოეღოთ: იქ მოისვენა შვილებთან ერთად. ერისთავის ჯარს თავისი ხარჯი ჰქონდა, მაგრამ მეფეც აძლევდა.

ერისთავი შვილებით ყოველდღე მეფის იჯარაზე იყო და მხოლოდ შემდეგ ბრუნდებოდა ხოლმე ბინაზე. ოც დღეს ამ ლხინსა და შეჭცევაში იყვნენ.

ერთ ღამეს მეფემ საიდუმლოდ კარისკაცები შეჰკრიბა და გამოუცხადა:

— ვერ ხედავთ რა სიფრთხილით გვეკიდება ერისთავი. მაგის გული არ გასწორ-

დება. კიდევ ბევრს ცუდს შეგვამთხვევს; დრო არის ქვეყნის მოლალატეს ახლავე კანონი მოვაჭდევინოთ.

დიდხანს ითათბირეს კარისკაცებმა, მაგრამ ერთმანეთს ვერ დაეთანხმენ.

არჩილ ბატონიშვილი ამბობდა:

მე გიორგის მიმაჩემეთ, რადგანაც დიდი ვაჟკაცია და სხვა თქვენ იცით.

პაპუნა წერეთელი ურჩევდა, რომ ოტია და ივანე მესხიც მოეწვიათ. ბერი წულუკიძე და ზურაბ მიქელაძე ამბობდენ:

— ხელცარიელი არც ისინი დაგვრჩებიან: ერისთავის ჯარი ხელს გამოიღებს და ბევრი სისხლი დაიღვრებაო. თამაზა მესხი შებმას თხოულობდა, მამუკა მდივანი წინააღმდეგი იყო. ბოლოს წამოდგა პაპუნა ამბულაძე და მეფეს მოახსენა:

— ხედავთ, ბატონო მეფე, რომ ამგვარი რჩევით არა გამოდის რა. თუ არ

გამირისხდებით, მე მაქვს საიდუმლოდ ცოტა რამ მოსახერხებელი და თუ მოგეწონოთ, მე მომანდეთ მისი ასრულებაო. მეფე დათანხმდა. დაიშალა დარბაზი და დარჩენ მარტო ორი—მეფე და პაპუჩა აბულაძე.

8

მეორე დღეს დილით ადრე მეფე ადგა და სეირნობა დაიწყო; ნელნელა ერისთავის კარვებს მიუახლოვდა. როსტომმა რომ დაინახა, მაშინვე მივიდა, თაყვანი სცა და ჰკითხა: ასე ადრე რად აბრძანებულხართო.—როგორც მონადირე კურდღელობის ვარ დაჩვეული, აგერ ოცი დღეა ალარ მინადირნია; დღეს სურვილმა ამიყოლია და ალარ დამეძინაო,—უპასუხა მეფემ. ერისთავი ნადირობის დიდი მოყვარული იყო და კურდღელობაზე რომ სიტყვა ჩამოვარდა, გამხიარულდა.

მეფემ უთხრა:

— მოდი დღეს გეგუთს გავიდეთ იაშვილისას, სალამოს იქ ვიკურდღლოთ, ხვალ დილით ჩემი კურძუალები ბევრ სეირს გვიჩვენებენ; იქიდან ქუთაისამდე კარგი სანადირო ადგილი ბრის; ჯერ შენ ხომ არ გინახავს ბროწეულას კურდღლები თუ რა ცქვიტი არიან.

თქმა და ასრულება ერთი იყო.

მეფემ განაზრახა პაპუნა წერეთელი და წინდაწინ გაგზავნა იაშვილისას, თვითონაც მალე მივიდა სანაოზე, რადგან რიონი მეფის სახლის წინ მიმდინარეობდა. ნავით ერნდა გასულიყვნენ. პირველად მეფე გავიდა, -ყველა მისი მხლებელიც გაიკრიფა. მეფე მაშინვე იაშვილისას წავიდა. შემდეგ როსტომ და მისი შვიდი შვილი და რვა აზნაური, რომელთაც ბატონების თოფები ეჭირათ, ნავში ჩასხდენ და გავიდნენ გალმა.

პაპჩუა აბულაძემ მენავეებს მიაძახა:

— აბა ჩქარა, თუ გიყვარდეთ, ხომ იცით, სანამ ერისთავი არ მიბრძანდება, ბატონი მეფე სადილს არ მიირთმევსო. პირველად ცხენები მოართვით ერისთავებს და შემდეგ ჯარის გამოყვანასაც ნულარ დააგვიანებთო.

მენავეებმა ნავი გააქანეს, ატაკეს ჯილეს და გადაბრუნეს. მენავეები გადაცვივდენ წყალში და, როგორც კარგი მცურავები, ყურყუმალით წავიდნენ. ნავიც დაილუპა და თითქო მენავეებიც დაილრჩვენ. აბულაძემ დაუძახა ერისთავის ჯარს: ქუთაისზე მოიარეთო. ერისთავს კი მოახსენა, თქვენთვის ცხენები უნდა დავიბაროთო. რამდენიმე ხნის შემდეგ მართლაც მოუვიდათ იაშვილიდან ცხენები. შესხდენ და წავიდნენ. ერისთავს ეგონა, რომ ან მეფის. საჯდომ ცხენს გამოუგზავნიდენ ან სახლთუხუცესისას მაინც. მაგრამ რომ ვერ

ხედავს, არ მოსწონს პატივისცემა და ფიქრობს:

— ვაი, თუ მეფე მიპირებდეს რამეს, მაგრამ ქათალიოსი ბარძიმს როგორ ულალატებს?

ამ დროს დიდი ხის წვეროდან სკვინჩამ დასძახა, გიორგიმ თოფი მოსთხოვა თავის აზნაურს, ესროლა ცხენდაცხენ, თავი მოსწყვიტა და სიცილით სთქვა:

— ყველა ჩემი მტერისათვის ასე მექნას.

როსტომ ერისთავი ფიქრში იყო წასული და ხმას არ იღებდა.

იაშვილისას რომ მივიდნენ, ჩამოხტენ. ჰიშკარში შესვლისთანავე რამდენიმე კაცი მიეგებათ, ვითომ პატივისსაცემლად, ერისთავებმა გამარჯვება უთხრეს და მეფისაკენ გაემართენ, დამხდურები უკან მოექცენ და მოულოდნელად თითოს ოთხოთხი კაცი ეცა. ისინი წინათვე არჩეულები იყვენ, როგორც მარჯვე და ლონიერები.

როსტომი სხვა შვილებით მალე დაიმორ-
ჩილეს, რიორგი კი გაუძალდა. ორი კაცი
ცალი ხელით დასცა; ერთ მათგანს, ჯიმ-
შელა ორჯონიკიძეს, რომელიც იკვეხნიდა,
გიორგიზე მოძხმარე რად ჰეკირვებაო, სან-
ჯალი დაჰკრა და სული გააგდებინა.
შეეტია მეფეს. მეფე შუა ეზოში იჯდა,
გიორგის ორი ახოვანი კაცი ზურგზე მოე-
კიდა, სხვებმა მკლავში სტაცეს ხელი, მა-
გრამ მაინც ვერ შეაჩერეს, თრევით წაიღო
ისინი და მიუახლოვდა მეფეს. მაგრამ მე-
ფემ მრისხანედ შეხედა; ადგომა და იმ
ადგილის გადანაცვლება არ იკადრა.

ამ დროს მოვარდენ ჯარისკაცები და და-
ურეს თავში თოფის კონდახები. მაინც ვე-
რა დააკლეს რა, სანამ ერთმა მათგანმა
თოფის ჩახმახი არ დაჰკრა. ჩახმახის ვერძი
ტვინში ჩავიდა და მაშინ კი წაიქცა.

მივარდა თეიმურაზა ორჯონიკიძე ძმის
სისხლის ამოსაღებად და დანით ამოკვეცა თვა-

ლები. როსტომი, მეთოდი, ცაგუნი, ჯუხ-
ნიტი, გივი, ბარძიმი და სვიმონ ბაწრით
შეკრულნი, ხედავდენ გიორგის თვალების
დათხრას და თვითონაც იმავე სატანჯველს
ბოელოდენ. ახლა სხვებსაც მიჰყვეს
ხელი.

პირველად როსტომი დააწვინეს გულ-
ალმა და ბევრი აცოდეილეს. მაშინ თვი-
თონვე ურჩია:

— თვალის კილოები ჩამჭერით და მერე
თვით გამოცვივდებიან კაკლებიო: და მარ-
თლადაც, სხვებს უფრო ადვილად დათხა-
რეს თვალები.

ეს ამბავი რომ მოხდა, მეფე სახლში
შეტრიალდა და გარეთ აღარ გამოსულა.
ეახლა სარდალი წკრეთელი და მეფე რომ
შეწუხებული და თვალცრემლიანი დაინა-
ხა, გაკვირვებულმა მოახსენა:

— თუ მაგრე საწანებლად დაგრჩებო-
დათ, ნეტავი არ დაგესაჯათ ის ცოდვის-

შვილებიო... მეფემ უპასუხა:

— მებრალება კაცი და დავსაჯე კი ღვთისა და ქვეყნის ორგული და მოღალატეო

— კიდეც ეგ არის; მეფევ,-- შეკადრა სარდალმა,— განა არ მოგხსენებია რა კაცია როსტომ ერისთავი? ეგ გულს არასოდეს არ გაიწმენდდა და, თუ ოდესმე შეიძლებდა იმას, რაც დღეს დაადგა, ჩვენვე დაგვაყენებდა.

— ჰო, მაგრამ შვილები?—ჰკითხა მეფემ.

—, შვილები უარესიც იქნებოდენ, ეკალზე ვარდი ვის უნახავს? მაგის ნაშიერი არ უნდა დარჩეს. ფიცი რომ არ დაგედვათ, უმჯობესი იყო ყველასათვის თავი დაგვეყრევინებინათ. ამ შვიდ შვილს გარდა კიდევ ჰყავს სხვა შვილებიც საშუალო ცოლის ხელში და ნულარც იმათ დავტოვებთ თვალდაუთხრელად, დრო არის გავგზავნოთ ჯარი რაჭას, ავიკლოთ მაგის

საბლაარი და დავანახოთ ქვეყანას, თუ რა
დღე მოელის თქვენ მტერს და ორგულს.

მეფე დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ წე-
რეთელი აღარ მოეშვა.

— მაგისი ცოდვა ჩემ კისერზე იყოსო.

მაშინ მეფემ უბრძანა:

— მიჩუქებია შენთვის, როგორც გინ-
დოდეს, ისე მოეპყარიო. — თვითონ ხანდა-
უყოვნებლად შეჯდა ცხენზე და იმ დღე-
სვე გაეშურა ქუთაისისაკენ. დარჩა იქ
პაპუნა წერეთელი თავისიანებით და გაი-
შართა ლხინი. იმღერიან, ივსებენ ღვინით
ყანწებს.

მიდიან და ულოცავენ სარდალს:

— ღმერთმა ყოველთვის ასე გაგამარჯვებიოს
ქვეყნის ორგულზე და თქვენს მტერზეო.

პაპუნა ამბობს:

— ახლა დამიფარცხოს ჩემი ხოდაბუნე-
ბიო... სადილს ვახშამიც მოაბეს დიდი

განცხრომით. ერისთავები კი ხელშეკრულები ეყარენ გარეთ ეზოში. ეს ამბავი დეკემბრის ორს მოხდა დალამებისას დაიწყო თოვა-ქარბუქი, მაგრამ ვინ გაბედავდა, რომ დასჯილებისათვის შეეწყობა აღმოეჩინა. როსტომ ერისთავს ერთი ძალლი ჰყავდა, რომელიც მოართვა ალი ენგიჩითმა. ის ძალლი, დიდიც იყო და გონიერიც; ის არასოდეს არ შორდებოდა პატრონს და ახლაც ფერხთით მიუწვა. შუალამე გადასული იყო, წერეთელი კი ისევ სუფრაზე იჯდა: ღვინო მოჰკიდებოდა. ძალლის ყმუილი შემოესმა, კითხა, ეს რა ამბავიაო. მერიქიფემ მოახსენა:

— ერისთავების მოტირალი გახლავსო. ბრძანა მაშინვე მოეკლათ ის გულშემატკივარი ძალლი.

9

მეორე დილით პაპუნა ადრე გამოვიდა გარეთ, გადახედა და დაინახა, რომ ერისთაველები ეზოშივე ეყარენ თოვლში, მაგრამ ნაბდები კი ჰქონდათ გადაფარებული.

იკითხა:

— ეს ვის უქნიათ.

მოახსენეს:

— ‘ქაიხოსრო აგია’ მეილმა ჰქნა ნამალევადო.

ერთმა ჯარისკაცთაგანმა სიცილით მოახსენა წერეთელს:

— წუხელის კარგი მხეცები ვინადირეთ და გაბამრჯელო ერგებათ კიკნაძეს, ორჯონიკიძეს, დევდარიანს და ცოტა გურგენაძესაც. როსტომ ჰამოჰკრა ყური მათ ლაპარაკს და სთქვა სახარების სიტყვებით:

— „ცუდრუკობდენ ჩემზედ ყოველნი მტერნი ჩემნი და იტყოდენ ჩემთვის ბოროტსა".

მერე მიუბრუნდა შვილებს:

— შვილებო, ღვთის განგებას ვერავინ ასცდება. ყოველ ივე ღირსეულად მოგვეგო, ნუ ვიტყვით ძვირსა და საყვედურსა. ავიტანოთ ეს სასჯელი ისე, როგორც ეკადრებოდეს ჩვენს ოჯახს.

— ჰეშმარიტითაო,—მიუგეს შვილებმა, ჩვენი სულმოკლეობით ნუ გავახარებთ მტრებსო. მართლაც ვერც ერთისაგან ვერ გაიგონებდით ვერც კვნესას და ვერც საყვედურს ვისმეზე...

ეს დიდი კაცები, ბრწყინვალე ტანისამოსებით და სხვადასხვა ძვირფასი ფარჩებით შემკულნი, ეყარნენ თოვლში, მაგრამ მაინც მედიდურება ეტყობოდათ. ხმას არ იღებდენ: მხოლოდ მოხუცი როსტომ

კი ძიტანა სინანულმა; ბოხი ხმით წამოიძახა:

— დიდებულო რუსთველო, ლხინში ძლიერი და ჭირშიაც მანუგეშებელი ხარ! ტყუილად არ გითქვამს:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა
გზა ეიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისცან გასწორდეს ყოველნი,
სუსტი და ძალგულოვანი.
ბოლოს შეკრულს მიწამან
ერთად მოყმე და მცხოვანი;
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი.

— მაგრამ ვაი, რომ სახელოვანადაც ველარ ვკვდებით, — დაამატა ამოკვნესით.

— არა ბატონო, დიახაც სახელოვანად ვკვდებით, — გაიწყვეტია მეთრდემ; — დიდებულმა მეფემ, რომელმაც სტამბოლიც შეაძრწუნა, პირდაპირ შებმა რომ ველარ გაგვიბედა, ღალატით დაგვიმორჩილა. ეს

მისი სირცხვილია და არა ჩვენი. ქვეყნის დასაბამიდან დასასრულამდე სულ ერთი კანონი ბრუნავს:—იყენენ და ალარ არიან, ვართ ალარ ვიქნებით, იქნებიან და ალარ იქნებიან.

ამით დაასრულეს საუბარი და გაჩუმდენ. როსტომ დაფიქრდა. მას თვალწინ წარმოუდგა თავისი ბარაკონი, დილაობით სხვადასხვა ონაეარი ფრინველების ბრძოლა ხორცისთვის და ირმების ბღავილი, როდესაც ჩვეულებისამებრ მარილს ითხოვდენ. გაიხსენა თავის შეკაზმული ცხენები და გულში სევდამ გაუარა... მოაგონდა, ნებიერს რომ დაკლავდენ ხოლმე დილას, გაატყავებდენ და მიუშვებდენ ზედ სხვადასხვა ონაეარ ფრინველებს: მიაცვინდებოდენ ქორები, მიმინოები, შევარდნები, სონღულები, ორბები, სვავები და სხვანი; ჰქოხდა. შეოთი ერეკმანეთში, ძე-

ტადრე თოვლის დროს; მაგრამ ბოლოს, როდესაც არწივებს გამოიყვანდენ, მაჩუბარი ფრინველები შიშით მიიფინტ-მოიფანტებოდენ.

— ეი, რა ყოფილა ჩვენი ცხოვრება და აქამდის არ ვიცოდი: ყველგან შფოთი და ძალმომრეობაა, ყოველი კაცი ცრუ არის და სცდება, მხოლოდ შენ ხარ უტყუარი და შეუცდომელი, მალალო ღმერთო! ცანი და ქვეყანანი წახდენ, მხოლოდ სიტყვანი შენი არა. ჰაიდ მე, და სიდ მეფე სოლომონ?... მიეცით კეისარსა კეისრისო. სად არის ახლა ჩემი ბარაკონის სასახლე, აშბრარლაური, ხიდისკარის კოშკები, სევან სასახლე, ონის ციხე-დარბაზი? ესენი ამიერიდან ყველანი სიზმარივით გაქრებიან... ვინ-ღა გამოგებინებს ჩვეულებრივ ლბინს და შგწყობილ ძილისპირს?

გაიტაცა როსტომი ისე სოფლიურმა ზრახვამ, გაიღვიძა მის გულში ძველებურ-

მა მეფიდურებამ, მით უფრო, რომ იქვე, იმ დროს, მისმა შვილმა გიორგიმ სული დალია.

— ჰოი, ყოვლად ძლიერო, მაღალო ღმერთო, საფაცა დაიქცა სისხლი თვალთა ჩემთა და ძეთა ჩემთა, აღმოფხარი ქვეყანა იგი და მიეც ნიავ-ქარსა გასაფანტველად ჰაერთა შინა!.. ჰოი, ყოვლის შემძლებელო, გარსშემოუწერელო ღმერთო, მოკითხე სისხლი ჩემი და შვილთა ჩემთა მეფე სოლომონს, კათალიკოს იოსებს და არჩილ ბატონიშვილს!.. მიაგე სამაგიერო შურისმაძიებელთა ჩემთა: პაპუნა წერეთელს, პაატა აბაშიძეს, ზურაბ მიქელაძეს, ბერ წულუკიძეს, ბერ ლორთქიფანიძეს, ოტია ჩხეიძეს, თამაზა მესხს, მამუკა მდივანს, თანდარუხ იოსელიანს, ქაიხოსრო და პაპუჩა აბულაძეებს, შეაჩვენე და აღმოფხარ მათი სახლკარი და გასწყვიტე სახსენებელი მათი უკუნისამდე.

წერეთელმა გაიგონა ეს წყეული და შეუტია:

— აღარ იშლი? გინდა უსჯულოებას უსჯულოება დასძინო? შენს სახლში სალმრთო წერილი იბეჭდება და როგორ არ წაიკითხე, თუ რას გვიწერს ყოვლის შემძლებელი: დაემორჩილენით უფალთა თქვენთაო. შენზეა ნათქვამი: „ხნარცევი თხარა და აღმოკვეთა და შთაყარდა მთხრებელსა მას შინაო“.

— წერეთელო, მართალს ამბობ, მაგრამ, არ მეგონა, თუ სალმრთო წერილი იცოდი. ნურც იმას დაივიწყებ, რომ იქ სწერია: „ნურცა უფალნი განარისხებენ მონათა თვისთაო“. ნუ გიხარია: შენც ეს დღე მოგელის, წერეთელო! მეფეს ფრთებს აკვეც, გინდა დიდებულები ჩამოაშორო და შენთვის ყოველივე მოაგვარო... შეგშურდა ჩემი ციხე-ქალაქები და ველ-მინდერები. ახლა კი იშოვი, მაგრამ ნუ დაი-

ვიწყებ: „რაც ჯვითაც მიგიღიეს, იმ გზითვე წაგერთმევის.“ ახლა კი ძლევა-მოსილო, როგორც დამორჩილებულს, ერთი თხოვნა ამისრულე: შემავედრე მეფეს, ასე ნუ გვტანჯავს და თავები დაგვაყრევინოს.

წერეთელმა აღუთქვა, მაგრამ წავიდა მხოლოდ იმიტომ, რომ რაჭაში ჯარი გაეგზავნა და ერისთავის ოჯახობა აეკლო.

ამ დროს მოვიდა იაშვილის მოურავი — ბუბუა გრიგოლაშვილი. ის ორი კვირის წინეთ სადღაც ყოფილიყო წასული. როცა დაბრუნდა და ეს ამბავი ნახა, ცეცხლი მოეკიდა და უსაყვედურა ბატონს:

— რა გიქნია ეს, რომ შენი სახლი გოლგოთად გაგიხდია? რატომ არ დაამშვიდეთ ბატონი მეფე და მის დიდებულ სახელს ლაქა დაადევით? ან ახლა რატომ არ უპატრონეთ ამ საბრალოებს? მივიდა, გაუხსნა ხელები დასჯილებს, წამოაყენა, მოჰკიდა ხელი, წაიყვანა და საყდრის უკან

საქალებოში შეიყვანა, რადგანაც შიშით მათ სახლში შეშვებას ვერავინ ბედავდა. იქ მოასვენა, მკვდარი გიორგიც იქვე დაასაფლავა.

ამ დროს იაშვილი სხვაგან წავიდა, რომ ბრალი საკუთრად მის მოურავს დასდებოდა და რისხვა თავიდან აეშორებია.

მთელი ლამის ნაწვალებმა ერისთავებმა საქალებოში სული მოითქვეს და ძილის პირით ევედრებოდენ უფალს. როსტომ ერისთავის უცნაური ბოხი ხმა გულსაკლავად გაისმოდა.

ბუბუ წავიდა მეფესთან, შემოიხსნა ხმალი და ყოველი იარაღი, მეფეს წინ, დაუწყო. მეფე ბუბუას იცნობდა, როგორც კარგ სახელოვან ვაჟკაცს და ჰკითხა:

— რა დაგიშავებია, ბიბო?

მოახსენა:

—თვალდათხრილი ერისთავები ეკლესიის გადახურულში შევიყვანე და მკვდარი იქვე დავმარხეო; ჩემმა ბატონმა სიკვდილი მო-

მინდომა ამისთვის, მეც ვიცი რომ ლარ-
სი ვარ სიკვდილის და ახლა თქვენ გადა-
შახდევინეთო. მეფემ უბრძანა:

-- ადექი, კარგი გიქნიათ. სამართალი
გაუსწორდა, კანონი მოხდილი აქვსთ და
მეტი რაღა ეპირვებათ.

დაუბრუნა იარაღი და გაისტუმრა.

ეს რომ ქაიხოსრო აგიაშვილმა გაიგო,
მაშინვე გაუგზავნა ერისთავებს მომკითხავი.
ტანისამოსები გაატანა და გადიყვანა თა-
ვის სახლში. ერისთავებს ყმა და მამული
ჩამოერთვათ, რაჭაში დაბრუნების ნება
აეკვეთათ და დიდხანს სხვის კარზე ცხოვ-
რობდენ. თვითონ როსტომ ერისთავი პა-
პუნა წერეთელმა საჩხერეს გაგზავნა, ხო-
ლო მეთოდე, სეიმონ კანდელაკმა წაიყვა-
ნა თავის სახლში. იგი ემსახურებოდა მე-
თოდე ერისთავს, სანამ ორი წლის შემდეგ
ქართლ-კახეთის მეფე ირაკლიმ არ მიიწ-
ვია თავის თავთან: თვითონ მასპინძელიც
თან იახლა.

10

სარდლის გაგზავნილმა ჯარმა ბრძანებისამებრ პირველად პაწია ანტონი მონახა და ყარაულები დაუყენა. დედამისი, როსტომის ცოლი, იაშვილის წანარეთმევი, ეზოში ფეხით ათრიეს და საბრალო მუცელს გადაჰყვა. შემდეგ შეესიენ ოჯახს. აოხრეს, აიკლეს, კოშკები და გალავანი ლალუმებით დაამტვრიეს, დაიპირეს ნიშა ირემი ქორბუდიანი, ჩერქეზთ ბატონის გამოგზავნილი, შეუკრეს ფეხები და წააქციეს დასაკლავად. ამ დროს მოეარდა ხიტუა გავაშელაშვილი –ის. იყო მეჯოგეთ-

უხუცესი: ბატონის შემთხვევა არ იცოდა და რომ დაინახა ნიშა ირემს კლავენო, დაიყვირა:

— ვინ უბედავს ბატონს ამ საქმესო. მივარდა, ხელთ-საჭერი დიდი თავმსხვილი რკინის ჯოხი თავში დაჭრა თეიმურაზა დევდარიანს და ტვინი ამოასხმევინა.

მისცვივდენ ჯარისკაცები და საწყალი ხიტუა ნაკუწ-ნაკუწად აჭკეპეს.

აოხრეს იქაურობა, გადასწვეს, გადაბუგეს და გამოემგზავრენ ქუთაისისკენ. პატარა ანტონიც თან წამოიყვანეს მისი ბიძებითურთ. ქუთაისში რომ მივიდნენ, სახლთუხუცესმა პატარა ანტონის თვალების დათხრაც ბრძანა, მაგრამ პატარა მეფის ასულმა ელენემ ანტონს თვალი მოჰკრა, მიიკრა გულში და აღარავის ანებებდა. იმ დღიდან მეფის სასახლეში იზრდებოდა, მაგრამ პაპუნამ მაინც საიდუმლოდ

განაზრახა მსახურები; ერთხელ ბურთი ჩაუგდეს ანტონს გახურებულ თონეში და ბავშმა რომ გადიხედა, იმდენხანს გაიჩერეს ძალით და აყურებინეს, სანამ თვალები არ გაუფუქდა.

ბოლოს თვალდამდგარი და ავადმყოფი ყმაწვილი ჩააბარეს ძიძებს და მათთან რაჰაში გაისტუმრეს.

იოსებ ქათალიკოსმა გელათში შეიტყო ერისთავებს თვალები დასთხარესო; შეიცხადა, გადმოვარდა ტახტიდან, დაეცა მიწაზე, თავპირში ხელები წაიშინა და წვერულვაშს იგლეჯდა. შეიმოსა ძაძით და გაცხარებული მიეპრა მეფეს ქუთაისს.

მეფემ თვალცრემლიანი კათალიკოსი რომ დაინახა, შეჰყვირა:

— რა ამბავია, კათალიკოსო!

— მე დღეს კათალიკოსი აღარ ვარ, — მიუგო მან, — არამედ იუდა ისკარიოტელი,

ჭეშმარიტების გამცემელი! მეფე, რად შეურაცყავ შენი მეფობა და თვით სამეფო? სად არის შენი აღთქმა და რად გამატეხინე ფიცი მე ცოდვილს?

მეფემ შეიკრა წარბები და დაბალი ხმით სთქვა:

— მე დიალაც ავასრულე ჩემი სიტყვა. როგორც აღგითქვი, სიკვდილით არ მომიკლავს და საარაკოთაც მოვექეცი.

— არა, მეფეო, ღმერთთან სიტყვის ჭაბრაკობა გამოსადეგი არ არის! ოსმალეთის მხედრობა განდევნე და ერთი თავადის დამორჩილება როგორ გაგიჭირდა, რად ჩამაგდე ცოდვაში? რა პასუხი ვაგო უკანასკნელ განსჯის დროს?

— შემცდარი ხარ, კათალიკოსო:

ერისთავების თვალების დათხრა გაშფოთებს და იმას კი ივიწყებ, რომ თვით იმ ერისთავს უნდოდა საქრისტიანოს სამეფოს თვალების დათხრა, — უპასუხა მეფემ და

გადაბედა დარბაისლებს. ისინი თავჩალუ-
ნული იდგენ შეწუხებულნი, ხმას არავინ
იღებდა. მეფესაც სახეზე მწუხარება დაე-
ტყო.

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ კათალი-
კოსმა ხმის კანკალით წამოიძახა:

— მეფეო, შეჩვენებული იყოს შენი
მეფობა, უკეთუ მეც არ გამასწორო ერის-
თავთან და თვალები არ დამთხარო. კა-
რის-კაცები შეშფოთდენ, მეფემ ზურგი მიაქ-
ცია კათალიკოსს და გაბრუნდა. კათალი-
კოსი კი თითქმის გონებადაკარგული გა-
ვარდა გარეთ და გელათისკენ წავიდა.

მეორე დღეს წირვის დროს შეეიდა
ეკლესიაში; დაწერილი ქაღალდი არქი-
დიაკონს მისცა და უბრძანა: რაც სწერია,
არ შეცვალოო. შემოსილი იყვა კათე-
დრაზე, მიბრთვეს ჯვარის სანთლები, ხო-

ლო მან ხელები აიპყრო, უკმიეს. არქი-
დიაკონმა ქალალდში ამოიკითხა:

„არა ბრწყინავდეს ნათელი შენი
წინაშე კაცთა და არცა იხილონ საქმენი
შენნი კეთილნი და არცა ადიდე შენ მაშა
ზეციერი ყოველ-დღე აწ და მარადის და
უკუნითი უკუნისამდე!"

ამ სიტყვაზე კათალიკოსმა თვითონვე
დაამხო ჯვარის სანთლები. არხიდიაკონმა
კელავ ღალადპყო:—

„არა დაადგა თავსა შენსა გვირგვინი
პატიოსანის ცხოვრებისა, არა ითხოვე და
არცა მოგცეს შენ ყოველივე აწ და მარა-
დის და უკუნითი უკუნისამდეო!"

კათალიკოსმა მოიხადა გვირგვინი და
ამგვარად განიძარცვა ყოველივე სამღვდელთ
მთავრო წირვის შესამოსელი. გახდის
დროს არქიდიაკონი ბრძანებისამებრ მისისა
იძახოდა: „არა ღირს არს".

ფერმიხდილი ჩამოვიდა კათალიკოსი კათედრიდან, შევიდა საკურთხეველში, ემთხვია ტრაპეზს, გამოვიდა, მიეიდა ხახულის ღვთისმშობლის ხატის წინ, დაიჩოქა და ტირილით დაემხო. იმ დღიდან აღარ უწირავს.



გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი-1990

დასაბეჭდად მოამზადა კ. „ფავორიტი"

ტირაჟი 4 000 შეკვ № X-90

ფასი 6 მან.

Отпечатано на Тбилисской картографической фабрике
380119, г. Тбилиси, ул. Форе Мосулишвили, 1